619
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 11 ნოემბერი 1971




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11 420 ნოემბერი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარება და მისი ორგანიზაციის სრულყოფა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პროგრამის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.




# ხვავრიელი ღალა შრომითა და ზრუნვით

მოგვითხრობს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო მამაიაშვილი.

თითქმის სამ კილომეტრზეა გადაჭიმული ჩვენი სოფელი. მასში ათას სამას ოცდაათზე მეტი კომლი ცხოვრობს. ათას რვაასამდე შრომისუნარიანი კოლმეურნე გვყავს.

მძლავრი და ღონიერია ჩვენი სოფელი. კოლმეურნეობას აქვს 24,6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, საიდანაც 7,7 ათასი ჰექტარი, ანუ თითქმის ერთი მესამედი სახნავია. ეს შესაბამისად შეადგენს წითელწყაროს რაიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის ერთ მეხუთედს და სახნავი მიწის 15 პროცენტზე მეტს.

კოლმეურნეობის ფერმებში ოთხი ათასამდე სული მსხვილფეხა პირუტყვი, სამი ათას შვიდასზე მეტი ღორი, ორმოცდარვა ათასამდე ცხვარი და თხა, ოცდაცხრამეტი ათასზე მეტი ფრთა ფრინველია.

ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ შრომისუნარიან კოლმეურნეზე ჩვენთან მოსავლელად საშუალოდ მოდის ცამეტნახევარ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, თითქმის ოცდათერთმეტი სული პირუტყვი და ოცდაორი ფრთა ფრინველი. ეს ძალიან რთული საქმეა, მაგრამ გასაჭირიდან მანქანებმა გვიხსნეს. კოლმეურნეობას აქვს ოთხმოცდაორი ტრაქტორი, ოცდათექვსმეტი კომბაინი, ოთხმოცდაშვიდი სატვირთო ავტომანქანა, ათობით სატრაქტორო გუთანი, სათესი და კულტივატორი, რამდენიმე თანამედროვე რთული მარცვალსაწმენდი და მარცვალსატვირთი მანქანა. ამ მდიდარი ტექნიკის მეოხებით ჩვენთან თითქმის მთლიანად მექანიზებულია მარცვლეული და სათოხნ კულტურების მოყვანა და მოსავლის აღება. მანქანებმა მტკიცედ მოიკიდე ფეხი ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

იყო დრო, როდესაც ჩვენ ჰექტარზე ძლივსძლივობით მოგვყავდა 8-9 ცენტნერი მარცვლეული. მერე, როცა სერიოზულად მოვკიდეთ ხელი ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას და მარცვლეულის უხვმოსავლიანი ჯიშების მოყვანას, მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. საშემოდგომო პურეულიდან ახლა ჩვენ ძირითადად მოგვყავს უფხო I-ის ჯიშის ხორბალი და პალიდუმ 187-ის ჯიშის ქერი. წლევანდელ უაღრესად გვალვიან პირობებშიც კი ჩვენ შევძელით ურწყავი მიწების 8.847 ჰექტარი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18,8 ცენტნერი საშემოდგომო პურეულის მოყვანა.

კიდევ უფრო ისახელეს თავი ცალკეულმა მოწინავე მხვნელ-მთესველებმა. ასე მაგალითად, იმ ბრიგადებმა, რომელთაც კომუნისტები გურამ ჭილტაშვილი, გივი და ვასილ ბოსტოლანაშვილები ხელმძღვანელობენ, თვითეულ ჰექტარ ნათეს ფართობზე საშუალოდ მოიყვანეს 19-21 ცენტნერი საშემოდგომო მარცვლეული.

მადლიანი შირაქის ველის მიწების ნაყოფიერება ახლა გაცილებით უფრო მყარი და მაღალი იქნებოდა, რომ დაახლოებით ამ ათი-თორმეტიოდე წლის წინ ნათესი ბალახები არ გადაგვეხნა და დადგენილი თესლბრუნვა არ გაგვეუქმებინა. ახლა ჩვენ უკვე გამოვასწორეთ წარსულის ეს მძიმე შეცდომა. შემოღებული გვაქვს ათმინდვრიანი თესლბრუნვა: ხუთი მინდორი უჭირავს საშემოდგომო თავთავიანებს, სამი კი სათოხნ კულტურებს, კულტურების მორიგეობა შემდეგნაირად წარმოებს: 1 და 2 — მრავალწლიანი ბალახები; 3 — საშემოდგომო ხორბალი; 4 — მზესუმზირა; 5 — საშემოდგომო ხორბალი; 6 — საშემოდგომო ხორბალი; 7 — სიმინდი + მარცვლეულ-პარკოსნები; 8 — საშემოდგომო ხორბალი (ნახევარი) + საშემოდგომო ქერი (ნახევარი); 9 — სიმინდი სოიათი სილოსად; 10 — საშემოდგომო ქერი, აღების შემდეგ — მრავალწლიანი ბალახები.



საშემოდგომო თესვა

ზემომაჩხაანელი ტრაქტორისტები.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



მეფრინველეები ციალა მარტყოფლიშვილი და ვერა გავაშელი.



კოლმეურნეობის ინჟინერი შალვა ნატროშვილი მექანიზატორებთან.

თესლბრუნვის ამ მინდვრებს საწარმოო ბრიგადები უვლიან, ბრიგადირები და მექანიზატორები პირადად აგებენ პასუხს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის ზუსტად დაცვისათვის.

ჩვენს პირობებში მთავარი მარცვლეული კულტურა საშემოდგომო ხორბალია, ხოლო მისი ძირითადი წინამორბედები — მზესუმზირა, სიმინდი და საკვები ბალახები. ჩემი თანასოფლელები ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანის ნამდვილი ოსტატები არიან, წლების მანძილზე შემოწმებული აგროტექნიკური წესების განუხრელად განხორციელება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების უტყუარი საწინდარი და გვალვასთან ბრძოლის საიმედო იარაღია.

ჩვენი კოლმეურნეობა ეკონომიურად მძლავრი, მაღალსაქონლური და რენტაბელური მეურნეობაა. ამას ნათლად მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე კოლმეურნეობის ძირითადი ფონდების ღირებულება ერთი მილიონ 54 ათასი მანეთით გაიზარდა და 5 მილიონ 775 ათას მანეთს გადაამეტა. შარშან კოლმეურნეობის მთლიანმა შემოსავალმა 1 მილიონ 236 ათას მანეთს მიაღწია, საიდანაც თითქმის ერთი მესამედი — ერთი მილიონ 837 ათასი მანეთი წმინდა შემოსავლის წილად მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ჩვენ მივიღეთ 5.435 მანეთი წმინდა შემოსავალი.

ჯერ კიდევ ამ თორმეტი წლის წინათ მეცხოველეთა შრომის ანაზღაურება დავიწყეთ არა მარტო წარმოებული პროდუქციის რაოდენობას, არამედ მისი ხარისხის გათვალისწინებითაც. რაც უფრო უკეთესია წარმოებული პროდუქციის ხარისხი, მით უფრო მაღალია მეცხოველეთა შრომის ანაზღაურება. თითეული კოლმეურნის საშუალო გამომუშავება ყოველწლიურად 220-225 კაცდღეს შეადგენს, ხოლო თვითეული კაცდღის ღირებულება 7-8 მანეთს აღემატება.

ჯერ კიდევ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შირაქის ველის გვალვისაგან გადახრუკულ მიწებზე ვაზი და ხეხილი გაიხარებდა. მაგრამ ადამიანთა შემოქმედებითმა თაოსნობამ და სამანქანო ტექნიკამ შეუძლებელი შესაძლებლად აქციეს. ახლა მარტო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში ოთხას ოცდათექვსმეტ ჰექტარზეა გადაშენებული ვენახები, ხოლო 43 ჰექტარზე — ხეხილის ბაღები. ისინი ყოველწლიურად ასკეცად ანაზღაურებენ ჩემი თანასოფლელების თავდადებულ შრომას. წლევანდელი უამინდობის პირობებშიაც კი შევძელით თვითეულ ჰექტარ სრულმსხმოიარე ვენახში საშუალოდ მოგვეყვანა 55 ცენტნერი ყურძენი.

ჩვენს კოლმეურნეობაში ორასზე მეტი კომუნისტია. მათ შორის ბრიგადირებიც ბევრია, მერგოლურებიც, საანგარიშო დარგის მუშაკებიც, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებიც და რიგითი კოლმეურნეებიც. აბა ნახეთ როგორი სიყვარულითა და მონდომებით შრომობენ ისინი კოლმეურნეობის შემდგომი წინსვლისა და განმტკიცებისათვის! სოფლის კომუნისტების ყველა სასახელო საქმის უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძნელია.

ვინ მოთვლის რამდენ დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ვეტერანს გიორგი მაძღარაშვილს. ძველმა კომუნისტმა კარგა ხანია მოიპოვა დამსახურებული დასვენების უფლება, მაგრამ ეს დაუცხრომელი ენერგიის ბერიკაცი კვლავ ახალგაზრდული შემართებით მუშაობს. მევენახეთა რგოლს, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ყოველწლიურად ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავს. კომუნისტური შრომის დამკვრელი, გამოცდილი მევენახე დაუზარებლად ასწავლის ახალგაზრდებს ვაზის მოვლის რთულ და საპატიო ხელოვნებას, მხნედ და ამაყად დადის ჩვენი გიორგი ზემო მაჩხაანის ქუჩებში. ღრმა პატივისცემის ნიშნად ყველა თავს უკრავს და ესალმება ამ ამაგდარ მკლავმოუღლელ კაცს. სწორედ მას ბაძავენ შრომასა და გარჯაში ახალგაზრდა კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა თანასოფლელი.

თითქმის ექვსი წელია მეცხვარეობის ფერმის ახალგაზრდულ ბრიგადას მარჯვედ უძღვება ახალგაზრდა კომუნისტი იროდიონ რობიტაშვილი. მისმა ბრიგადამ ერთ-ერთმა პირველმა დაიმსახურა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება. წლების განმავლობაში არავის უთმობს პირველობას კომუ-

ტრაქტორისტი რობინზონ ჯანაშვილი და კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ელგუჯა ნატროშვილი.





ნიკო მამაიაშვილი.

ნისტი თავჩობანი ნოდარ ჯანაშვილი. მწველავთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას უსწრებს კომუნისტი გიორგი ნასრაშვილი. არა მარტო მუყაითი მშრომელი, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიცაა კომუნისტი ტრაქტორისტი თენგიზ იაკობიშვილი. მისი ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა სოფლის გზების, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოსაწყობად.

ჩვენი მთავარი აგრონომი კომუნისტი მურთაზ ნატროშვილი მიწის ნამდვილი მესაიდუმლეა. მურთაზი დღედალამ იმის ფიქრშია, რომ ყველაფერი გააკეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. მთავარი ზოოტექნიკოსი ამირან იაკობიშვილი და მთავარი ვეტექიმი გიორგი სიფრაშვილი მუდამ იმის ცდაში არიან, რომ პირუტყვი და ფრინველი ჯანსაღი და მაძღარი იყოლიონ. მთავარი ბუღალტერი ზურაბ ლაზროვი და მთავარი ეკონომისტი ცირა ბოსტოღანაშვილი თვალისჩინივით უფრთხილდებიან კოლმეურნეობის თვითეულ კაპიკს. მთავარი ინჟინერი შალვა ნატროშვილი კი თავს დასტრიალებს მანქანა-იარაღებსა და ახალ მშენებლობებს. საერთო საქმისადმი სიყვარულში ტოლს არავის უდებს ჩემი მოადგილე კომუნისტი გივი ბიკაშვილი, ხოლო ჩვენი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იოსებ პაპაჩაშვილი, ადრე ჩვენთან ბრიგადირად რომ მუშაობდა, ახლაც კოლმეურნეობის მთელი საქმიანობის შუაგულში ტრიალებს.

კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას მარჯვედ უძღვება ელგუჯა ნატროშვილი. ჩვენი პირველადი ორგანიზაცია ეს ის ბრძმედია, სადაც იწრთობა და იჭედება თანამედროვე სოფლის ახალი ადამიანი, კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებელი, ვინც მგზნებარე მართალი სიტყვითა და საქმით სხვებსაც აღაფრთოვანებს სამშობლოს საკეთილდღეო მამაცური შრომისათვის.

კოლექტიურმა შრომამ ააშენა და დაამშვენა ჩვენი სოფელი, ქალაქურ ყაიდაზე მოაწყო იგი. ახლა ჩემს თანასოფლელებს არც ელექტრობა და გაზი აკლიათ, არც რადიო და ტელევიზორი, არც სკოლა და ბიბლიოთეკა, არც პურსაცხობი და სასადილო, არც მაღაზიები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, არც ამბულატორია და კავშირგაბმულობის დაწესებულებები. კოლმეურნეები ცხოვრობენ მშვენიერ სახლებში, რომელთაც ამკობს ძვირფასი ავეჯი. ახლა ჩემი თანასოფლელები ქალაქელების მსგავსად სარგებლობენ ფასიანი შვებულებებით, მოხუცებსა და ინვალიდებს ეძლევათ პენსია, ხოლო კოლმეურნე ქალები ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში იღებენ დახმარებას. ათობით ზემომაჩხაანელი კოლმეურნე ყოველწლიურად ისვენებს ჩვენი ქვეყნის კურორტებზე.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად გაიზარდნენ და გამოიწვრთნენ ახალი ადამიანები. ჯერ კიდევ ამ ოთხი ათეული წლის წინათ, როცა ზემო მაჩხაანში კოლმეურნეობა ყალიბდებოდა, ჩვენ არა გვყავდა არც ერთი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, ახლა კი კოლმეურნეობაში მუშაობს ასზე მეტი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლებით, ხოლო სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 90 პედაგოგი. ასობით ზემომაჩხაანელი ახალგაზრდა სწავლობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ბევრი მათგანი საკოლმეურნეო წარმოებისაგან მოუწყვეტლად ეუფლება მეცნიერების მწვერვალებს.

იმათთვის, ვინც ახლა სოფლის საშუალო სკოლისა და მუსიკალური სასწავლებლის კაპიტალურ, კეთილმოწყობილ შენობებში მერხებს უზიან, ან საბავშვო ბაგებსა და ბაღებში იზრდებიან, — ყველაფერი ეს ისტორიაა, ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის კი — ამბებისა და მოვლენების ერთიანი ჯაჭვი, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული დღევანდელობასთან. ეს არც გასაკვირია. ჩვენ ხომ ახალი ცხოვრების დამწყებნი ვიყავით. აი, უკვე მალე ოცდათხუთმეტი წელი შესრულდება, რაც ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას ვხელმძღვანელობ, და ყველა ცვლილება, რაც სოფელმა განიცადა, ჩემს თვალწინ მოხდა. ეს ძვრები განსაკუთრებით დიდი და შესამჩნევია ამ ბოლო წლებში, როცა დაგეგმვის ახალ სისტემაზე გადასვლის წყალობით ყველა პირობა შეიქმნა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი გადიდებისათვის. ამ შესანიშნავი ძვრების შესახებ ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გახსნის წინ ჩემი თანასოფლელების შესანიშნავ შრომით საქმეებზე მოსკოვიდან სპეციალური ტელერეპორტაჟიც კი გადაიცა.

ზემო მაჩხაანის შემოგარენი გმირული ისტორიის უტყვი მოწმეა. უცნობ ხუროთმოძღვართა ქმნილებებისა და ძველი ციხე-კოშკების ნაშთები მიუთითებენ იმ თავდადებულ ბრძოლებზე, რომელთაც ქართველი ხალხი ეწეოდა ჩვენს მიწაზე შემოჭრილი უცხოელ დამპყრობთა ურდოების წინააღმდეგ. ჩემი თანასოფლელები სიამაყით გიჩვენებენ იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობენ შთამომავლები იმ მამაც მეომარ ბოსტაშვილისა, რომელმაც ჩვენს სახელოვან ბატარაკახს ბრძოლაში მოკლული ბედაურის ნაცვლად უმალვე თავისი ცხენი მიართვა. და, ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ ადგილების ახლოს გააშენეს ზემომაჩხაანელებმა მემორიალური პარკი იმ ოთხას სამოცდახუთი შინმოუსვლელი თანასოფლელის სამარადისო ხსოვნის ნიშნად, ვინც საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში მამაცურად შესწირა თავი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

განსაკუთრებით დიდი შრომითი აღმავლობაა ჩვენში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ. ჩემი თანასოფლელები გაორკეცებული ენერგიით შრომობენ, რათა თავთავიანთ უბნებზე ყველაფერი გააკეთონ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მიმდინარე მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის ჩვენ 26 ცენტნერამდე ავიყვანთ მარცვლეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას და თითქმის ერთიორად გავადიდებთ მარცვლეულის საერთო წარმოებას. თვითეულ ფურზე საშუალოდ ჩამოვწველით 3 ათას კილოგრამ რძეს, და 1970 წელთან შედარებით 778 ტონით გავადიდებთ რძის საერთო წარმოებას, 126 ტონით გაიზრდება ხორცის საშუალო წლიური წარმოება.

თავდადებული შრომით ჩვენ წარმატებით დავძლიეთ წლევანდელი უამინდობით გამოწვეული სერიოზული სიძნელეები და პირნათლად მოვიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე. სახელმწიფოს ბეღელში გეგმის გადამეტებით შევიტანეთ 650 ტონაზე მეტი მარცვლეული და 50 ტონა ყურძენი, ვადამდე და გადამეტებით შევასრულეთ აგრეთვე სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 9 თვის დავალებანი.

ჩვენ აქედანვე შევქმენით საუკეთესო წინაპირობები მომავალი წლის უხვი მოსავლის მისაღებად. შემჭიდროებულ ვადებში ჩავატარეთ საშემოდგომო ხვნათესვა. თესვის წინ ნიადაგი წინასწარ გავანოყიერეთ და გავაფხვიერეთ. მთელი 3.480 ჰექტარი ფართობი დავთესეთ გულდასმით შერჩეული და გაწმენდილი ჯიშიანი თესლით. ამასთან 200 ჰექტარ ფართობზე წელს პირველად დაითესა საშემოდგომო ხორბლის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები „ავრორა“ და „კავკასია“. მათი თესლი გვიწილადა კრასნოდარის მხარის ვისელკოვსკის რაიონის გაზირის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, რომელთანაც ჩვენ გვაკავშირებს სოციალისტური შეჯიბრება და ძმური მეგობრობა. სანიმუშოდ მოვემზადეთ მზესუმზირის, სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების დასათესადაც. საამისოდ მზადა გვაქვს თესლიც და ნიადაგიც. მზრალად ხვნა მთელ 2.800 ჰექტარზე ჯერ კიდევ 25 სექტემბრისათვის დავამთავრეთ.

შესაძლებლობის ფარგლებში კარგად მოვემზადეთ პირუტყვის გამოსაზამთრებლადაც. შესაძლებლობის ფარგლებშიო, იმიტომ ვამბობ, რომ წლევანდელმა უჩვეულოდ გაჭიანურებულმა გვალვებმა მეტისმეტად დიდი სიძნელეები შეგვიქმნა საკვების დაგროვების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევძელით გადამეტებით შეგვესრულებინა უხეში საკვების დამზადების გეგმა. სამწუხაროდ, ვერ შევძელით სილოსის დამზადების დავალების შესრულება. გეგმით გათვალისწინებული 7.902 ტონის ნაცვლად დავამზადეთ მხოლოდ 6.164 ტონა სიმინდისა და ბალახების სილოსი. ვერ შევასრულეთ აგრეთვე საკვები ძირნაყოფებისა და ბალჩეულის დამზადების დავალებანი. ვფიქრობთ წვნიანი საკვების ეს დანაკლისი გადავფაროთ საფურაჟე მარცვლეულის

ზემომაჩხაანელები





# ასლან ყოჩიაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ზემო მაჩხაანის ბოლოს, მწვანე გორაკზე, წინ გადაშლილ ალაზნის ველსა და ჩამოთოვლილ კავკასიონს რომ გასცქერის, შინმოუსვლელთა მემორიალური პარკის დასაწყისთან, ერთი პატარა შენობა დგას. აქ გამოფენილია ფოტოსურათები იმ ოთხას სამოცდახუთი ვაჟკაცისა, რომელთაც თავიანთი ჭაბუკური სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

ამ 465 მეომარს შორის ერთი პოეტია — ასლან ყოჩიაშვილი. მან აქ, ამ მიწაზე აახილა თვალი. მისი ლექსები 1936 — 1940 წლებში იბეჭდებოდა გაზეთ „კომუნისტის“, ჟურნალების — „ჩვენი თაობის“ და „პიონერის“ ფურცლებზე.

ასლანი ოცდახუთი წლის ჭაბუკი იყო, როცა გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე (1942 წელს).

ზემო მაჩხაანელ ბავშვებს მინდვრის ლამაზი ყვავილები მიაქვთ და მოკრძალებით აწყობენ პოეტის პორტრეტის ქვეშ.

აქ ჩვენ ვბეჭდავთ ასლანის რამდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსს.

## აპრილის დილა

აპრილის დილა, ვარდივით შლილი,
ნორჩი შტოები თოთოყვირტება,
მზის ელვარება, სიცოცხლე ტკბილი
თვალებში მიდგას მარგალიტებად;
გაეზლაპრება უჭკნობ ალიონს
ლაჟვარდოვანი ზეცის განივი...
ჰოი, რომ მზემაც ველარ გალიოს
გული მჩქეფარე შადრევანივით.
... მეც უთენია, მღერით შევალებ
ამ ბაღს... და მაწვიმს სხივთა ჩქერები.
— მოკრიფე ძმაო, — მეტყვის მებაღე, —
აი ეს არის ბედნიერება.
შეუნთე ცეცხლი ჩაუქრობ უნარს,
მებრძოლის ჟინით აახმიანე,
უმღერე ზაფხულს მზეგაუხუნარს,
უმღერე რჩეულ ადამიანებს,
მიეც სილალე ვაჟას ჰანგების
ბწკარში შრიალის განმეორებას
და სიხარულად, გწამდეს, დარჩებით
შენ, გაზაფხული და ეს ცხოვრება;
ბუჩქების შრიალს გავყვები ფრთხილად,
მესმის მშობელი ქვეყნის დიდება,
ამოვიძახებ სიმღერას ტკბილად
და საუკუნეს გავეკიდები.

## ვაჟა-ფშაველას

ზეცას ხატავდა გრძნეული ფუნჯით,
ციდან მოსული მიწის შვილებთან,
ის — ბედისა და ცხოვრების ურჩი,
სამშობლოს ლექსით აყვავილებდა.
არწივის ბედი სტანჯავდა არწივს,
ვერ შეურიგდა ბედის ობლობას,
მთებში გაჭრილი მთასავით კაცი
ლექსით სწყევლიდა უმეგობრობას.
თილისმით ხსნიდა ბუნების კარებს,
ბარშიც დაჰქონდა მთების ბუნება;
ცეცხლს აკვესებდა ლველფიან ბწკარებს
ყოველი სიტყვის შემობრუნება.
გაშლიდა ბუჩქებს, რომ ლექსად ეთქვა
დაჭრილი ფესვის ყოფა მიმქრალი,
გაეგო ყველა ყვავილის ფეთქვა,
მათი მიზნები და ნაფიქრალი...
ფიქრებმა ტაძრის ბჭენი მორკინეს,
ცეცხლში ჩაიწვა მგოსნის ტატნობი,
მაინც გადურჩა ყველა ბორკილებს
გულის ფესვების შემონადნობი.
წავიდა ბოლოს... მთით მოქროლილი
ქარი ინატრა დაბინდებისას,
ქვეშ გაიფინა მთების ყოილი,
როგორც წამალი უკვდავებისა.
ახლა ამბობენ, მკვდრებთან საფარი,
არ არგუნესო, და არც ინება,
თან სდევსო კაცი, როგორც ზღაპარი
მთისა და ბარის აყვავილებას.

## დაჭრილი სტრიქონი

როცა სტრიქონი სიხარულს მივსებს
და გრძნობა ღვივის ცეცხლის ნარჩენად,
მე ყოველ სტრიქონს შევხარი ისე,
როგორც მზისა და ცისკრის გაჩენას.

ახლაც დაფრინდა მღელვარე განცდა
მტვრიან თაროზე, როგორც არწივი,
გავხსენ წიგნი და იმედის ნაცვლად
ეგდო სტრიქონი დაჭრილ კაცივით.

ამოიმღერა სტრიქონმა მხოლოდ,
ვერ გავაწვდინე გრძნობებს მტკაველი
და ვერც გავიგე, ბოლოს და ბოლოს,
შიგ ვაჟა იწვა თუ რუსთაველი.

მხოლოდ ვხედავდი, იყო მზის სწორი,
არა ყოფილა ნათელმიმქრალი,
კვნესით ჩამოდგა ჩემს და წიგნს შორის
დიდი პოეტის მონაფიქრალი.

## ა ჭ ა რ ა

გულს უნდა იყოს მუდამ შენს ახლოს,
მუდამ შენს გვერდით ზაფხულს ხვდებოდეს,
გულს უნდა შენი მშვენება ნახოს
და შენი შრომით მუდამ ტკბებოდეს.
მინდა ვუცქირო ამ ვრცელ ტყე-ველებს,
ამ ნარინჯებით მოფენილ მდელოს;
ეს სიყვარული ჩვენ გვამეტყველებს
და გვათქმევინებს შენს სადღეგრძელოს.
ახლა აქ ღამეც ველარ ალამებს,
იცის ეს ყველამ: დიდმა, ბალღებმაც.
ეს ბაღნარები დაცვარ-დანამეს
შავი ზღვის ცისფერ, სუფთა ტალღებმა.
ჩვენში ამბობენ: როგორც ციდანო
მიწას ეფრქვევა სხივთა კრებული,
ასე ანათებს შენი მიდამო —
ახალ ცხოვრებით განახლებული.
გულს უნდა იყოს მუდამ შენს ახლოს,
შენს გვერდით ყოველ ზაფხულს ხვდებოდეს,
გულს უნდა შენი მშვენება ნახოს
და შენთან ერთად მუდამ ტკბებოდეს.

---

ხარჯზე. მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას დიდად შეუწყობს ხელს მრავალწლიანი ბალახებისა და ქერის ნათესების შემდგომი გაფართოება. წლევანდელ შემოდგომაზე 568 ჰექტარით გავადიდეთ ესპარცეტის ნათესი ფართობები, ხოლო ფერმისპირა ნაკვეთების 885 ჰექტარზე დავთესეთ ქერი.

კოლმეურნეობაში ყოველდღიურად სულ ახალი ძალით ჩაღდება ლაშქრობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შემდგომი მძლავრი გადიდებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა დადგენილებამ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ ზემომაჩხაანელთა არნახული შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, ფერმა — ფერმას, კოლმეურნე — კოლმეურნეს. ყველა ცდილობს თავისი ღვაწლი და ამაგი დასდოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დაჩქარების საყოველთაო-სახალხო საქმეს. ამ ერთობლივ თავდადებულ შრომაში იჭედება ახალი შესანიშნავი შრომითი გამარჯვებები.

საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისადმი ჩემი თანასოფლელების შეგნებულ დამოკიდებულებაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმა და მისი შვიდი ბრიგადა, მემინდვრეობის ექვსივე ბრიგადა და მევენახეობის რვავე ბრიგადა, მეღორეობის ფერმის სამი ბრიგადა, მეფრინველეობის ფერმის ოთხი ბრიგადა და მეცხვარეობის ფერმის შვიდი ბრიგადა კომუნისტური შრომის კოლექტივების საპატიო სახელს ატარებენ. ახლა ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად ენერგიის დაუზოგავად შრომობენ მეღორეობისა და მეცხვარეობის ფერმების მუშაკები. ათას ორას ოცდათხუთმეტი ზემომაჩხაანელი კოლმეურნე კომუნისტური შრომის დამკვრელია. მალე მათ რიგებს შეუერთდება კიდევ 222 მოწინავე თანასოფლელი.

მომავლის ამ მამაცმა მშენებლებმა კარგა ხანია დროს გაუსწრეს. ისინი ცხოვრობენ ხვალინდელ დღეზე ფიქრითა და ზრუნვით. სწორედ ასეთ ადამიანებზე უთქვამს ჩვენს ხალხს: თუ კაცი გონიერია, სოფელიც ლონიერიაო. სწორედ ამ მამაცი და გონიერი ადამიანების დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ყოველწლიურად სულ უფრო ფართოდ შლის მხრებს. სწორედ ამის შედეგია, რომ მის დროშაზე აკიაფდა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. სწორედ ამის შედეგია, რომ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო სამახსოვრო წითელი დროშების მფლობელი გახდა.

ზემომაჩხაანელები მოუსვენარი ხალხია. ისინი მოპოვებულ წარმატებათა გამო თვითდამშვიდებას კი არ ეძლევიან, არამედ დაუღალავად ეძებენ, პოულობენ და ხალხის სამსახურში აყენებენ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების ახალ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.



სადგური „ისანი“.

# მიწისქვეშა სასახლეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დედაქალაქის მაჯისცემას თვალნათლივ ვგრძნობთ ხმაურიან ქუჩებში. ამიერიდან კი ჩვენ მის გულისძგერასაც გავიგებთ.

მე ალბათ ყოველთვის კრძალვით ჩავუყვები ესკალატორის კიბეს, რომელიც მშობლიური ქალაქის მხურვალე გულთან დაგვაახლოებს.

არ მეგულება არც ერთი თბილისელი, ჩვენი დედაქალაქელი, რომელიც გულწრფელ აღფრთოვანებას არ განიცდიდეს.

ვერ გამომითქვამს მეტროს მშენებელთა საქებარი სიტყვები“.

ასე წერდა პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე ამ ხუთიოდე წლის წინ, თბილისის მეტროს გახსნის დღეს.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ 1966 წელს, როცა თბილისის მეტრო მწყობრში დგებოდა, მსოფლიოში მოქმედებდა 34 მეტროპოლიტენი; თბილისის მეტრო რიგით 35-ე იყო. ამჟამად მიწისქვეშა რკინიგზა მსოფლიოს დიდ 70 ქალაქში შენდება.

თბილისის მეტროპოლიტენის ხუროთმოძღვრებმა და მშენებლებმა გადაწყვიტეს სამი ძირითადი, ერთიმეორესთან დაკავშირებული ამოცანა: პირველი— მიწისქვეშა და მიწისზემო სასახლეების დაგეგმარება, მათი აგება; მეორე — მხატვრულ-ესთეტიკური მხარე, რომელიც უპასუხებს საბჭოთა საზოგადოების მაღალ იდეურ-მხატვრულ მოთხოვნილებებს; და მესამე — საინჟინერო გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს მეტროპოლიტენის მთლიან ორგანიზმში შემავალი ობიექტების სიმტკიცეს და ხანგრძლიობას.

საყურადღებოა ისიც, რომ თბილისის მეტროპოლიტენი, შედარებით პირველ საბჭოთა მეტროპოლიტენებთან, უფრო იაფი დაჯდა. ადრე თითოეული კილომეტრი გზის გაყვანას 8 მილიონი მანეთი სჭირდებოდა, თბილისისამ კი 6,5 მილიონი მანეთი მოითხოვა. დაზოგვა მეტროს ესთეტიკურ მხარეს ხარჯზე კი არ მოხდა, არამედ ტექნიკური პროგრესის შედეგად.

თბილისის მეტროპოლიტენის სადგურების კომპლექსი წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურის მნიშვნელოვან ნაწარმოებს. იგი გამოხატავს საბჭოთა კულტურის ხასიათს, ჩვენი დროის სილამაზეს. ნაგებობათა კაპიტალურობა, უახლესი ტექნიკით აღჭურვა, მატარებელთა ზუსტი და სწრაფი მოძრაობა, ჰაერის სისუფთავე, სინათლის სიუხვე, დარბაზების, ვესტიბიულების, გადასასვლელების მხატვრული გაფორმება — აი თბილისის მეტროპოლიტენის დამახასიათებელი თავისებურებანი.

თბილისის მეტროპოლიტენის სადგურებს ერთიმეორესაგან განსხვავებული იერი და სილამაზე აქვს. ჩვენი ეპოქის ეს შესანიშნავი არქიტექტურულ-საინჟინერო კომპლექსი ეხმაურება ჩვენი ეროვნული მატერიალური კულტურის ძველ შედევრებს. სწორედ ეს აღნიშნა აკად. ნიკო კეცხოველმა. „როცა V-XI საუკუნეთა ძეგლებს დღეს მეოცე საუკუნეში ვუმზერ, — წერდა იგი, — გული სიხარულითა და სიამაყის გრძნობით მევსება. მადლობით ვიხსენებ არსუკიძეს, ხურციძესა და მრავალ სხვას, რომელთა სახელები საუკუნეთა მიღმა იკარგება, მაგრამ რომელთა მიერ აგებულმა ძეგლებმა მეოცე საუკუნემდე მოიტანა წინაპართა შემოქმედების ცეცხლი. მიხარია, რომ დღესაც იგება არქიტექტურისა და საინჟინერო შემოქმედების ისეთი ძეგლები, რომელნიც მრავალი საუკუნის შემდეგ აღაფრთოვანებს ჩვენს შთამომავალთ, სიხარულით აუვსებს გულს, მოწიწებითა და მადლობით მოიხსენიებს ამ ძეგლთა შემქმნელთ.

მე კი, დღევანდელმა მოქალაქემ, მინდა გულითადი მადლობა მოვახსენო მეტროს მშენებელთ, მუშას და ინჟინერს, არქიტექტორს და მხატვარს, სწორედ იმიტომ, რომ მათი შრომა, ისევე როგორც მათ წინაპართა, არის შრომა თავისი ხალხის, თავისი ერის უკვდავყოფისათვის“.

ეროვნული მეტროპოლიტენის ნაგებობა კიდევ უფრო წარმტაცს ხდის მუდამ მშვენიერ თბილისს. საუკუნეების მანძილზე იქროლებენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის — თბილისის მიწის წიაღში ცისფერი ექსპრესები.



სადგური „სამგორი“

ელვარებს ქართული მარმარილო და გრანიტი; მაგრამ განა ყველამ იცის თუ რა ძნელი დასამორჩილებელი იყო ეს მოსაპირკეთებელი მასალა, რომლებითაც სადგურები შეიმოსნენ. მარტო რუსთაველის სადგურს დასჭირდა 850 კვადრატული მეტრი სალიეთის წარმტაცი ფერის მარმარილო, რომელსაც თავისი ხასიათი აქვს — ვერ იტანს მცირე უხეშობასაც კი, იმსხვრევა; ეს მარმარილოები მოითხოვენ ფაქიზ მოპყრობას.

ამას გარდა, თბილისის მეტროს სადგურებში გამოყენებულია უკრაინის გრანიტი, სვანეთის, რიკოთის მარმარილო, ნოვოდანილოვსკის წითელი გრანიტი და სხვა მრავალი ძვირფასი ჯიში. ყველა მათგანს თავისი ხასიათის შესატყვისი მოპყრობა უნდოდა; ამ სპეციფიკას ქართველმა მშენებლებმა, ქვის შესანიშნავმა ოსტატებმა კარგად აუღეს ალღო.

ეს ძეგლი მომავალ თაობათა წინაშე წარდგება როგორც ქვასა და ლითონში გაცოცხლებული შრომის ჰიმნი.

მსოფლიოს მეტროპოლიტენთა ფონზე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და ბაქოს მეტროპოლიტენები საუკეთესონი არიან; ეს მიწისქვეშა სასახლეები განირჩევიან კომპოზიციის ლაკონიურობით, პროპორციათა სილამაზით, კონსტრუქციულ-არქიტექტურული ფორმების შეხმატკბილებით, მყუდროებით, დიდი მხატვრული ღირსებებით, კარგი ვენტილაციით, მონუმენტური ქვების საუცხოო ტექსტურით და ხატოვნებით, ინტერიერებისა და ექსტერიერების სილამაზით; აქ დიდი გემოვნებით არის გამოყენებული მონუმენტური ფერწერისა და სახვითი ხელოვნების ელემენტი.

მეტროს მიწისზედა სადგურების გონივრულმა არქიტექტურულმა გააზრებამ დააჩქარა ახლო მდებარე შენობათა რეკონსტრუქცია, მოედანთა კეთილმოწყობა, ახალი ანსამბლური შენობების აგება, შადრევნებითა და გაზონებით მორთვა-მოკაზმვა.

ყოველივე ამან უფრო მეტად დაამშვენა საქართველოს სახელოვანი დედაქალაქი.

სიმონ ნაციაშვილი

# ლეგენდა და სინამდვილე



ქალაქის ხედი.



ქარის წისქვილთან ნუ მოელით ლამანჩელი რაინდის გამოჩენას. წისქვილი არ მუშაობს. ტალინელებმა იგი წარსულის გასახსენებლად შემოინახეს.



ეს ვიწრო ქუჩები მაშინ აშენდა, როცა ავტომანქანა ჯერ არ იყო. ახლაც კეთილ ინებეთ და ძველ ქუჩებში ფეხით გაიარეთ.

თითქმის ყველა ქვეყნის დედაქალაქი თავის ისტორიას ლეგენდით იწყებს. ასეა თბილისი თავისი ხოხბით, ბაქო თავისი ქალწულის კოშკით, რომი თავისი ძუ მგელით და ა. შ. აქვს თავისი მშვენიერი ლეგენდა მოძმე ესტონეთის დედაქალაქსაც.

ყოველ შემოდგომაზე, შუაღამისას, იულემისტეს ტბიდან გამოდის ტანმორჩილი ბერიკაცი. უახლოვდება ქალაქ ტალინის ჰიშკარს და გუშაგს ეკითხება: „ქალაქი უკვე მზად არის, თუ კიდევ რამე შენდება?“ გუშაგს ნაბრძანები აქვს მოხუცს უპასუხოს: „ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ასაშენებელი!“ უკმაყოფილო მოხუცი ბუზღუნით ბრუნდება ტბაში.

ამ ლეგენდის მიხედვით, თუ ტალინში არაფერი აღარ იქნება ასაშენებელი, მაშინ ჯადოქარი მოხუცის ბრძანებით ტბები აზვირთდებიან, ნაპირიდან გადმოვლენ და მთელ ქალაქს წყლით დაფარავენ...

ტალინელებს სურთ, რომ მათი ქალაქი უკვდავი და ულამაზესი იყოს. აი, ამიტომაც არის, რომ საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქში ასეთი დიდი მასშტაბის მშენებლობებია გაჩაღებული. ქალაქი ყოველდღიურად იზრდება და მშვენდება. ერთმანეთის მიყოლებით დგება მწყობრში ახალი საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, საბავშვო ბაღები, სასტუმროები.

**ესტონელ და ქართველ ხალხებს დიდი ხნის ძმური მეგობრობა აკავშირებს. ამ მეგობრობას აქვს თავისი ისტორიული ფესვები: 1882 წელს ესტონეთში ჩამოვარდნილმა შიმშილმა და უკიდურესმა გაჭირვებამ ესტონელთა დიდი ჯგუფი აიძულა სამშობლო მიეტოვებინა და უკეთესი ხვედრი შორს, ცხრა მთას იქით ეძებნა. ლტოლვილები საქართველომ შეიკედლა. ახლა მათი შთამომავალნი ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ და შრომობენ. აქ იპოვეს მათ მეორე სამშობლო და სამუდამოდ დაუმოყვრდნენ ჩვენს ხალხს. ესტონელთა მილიონერი კოლმეურნეობები „ესტონკა“, „მეგობრობა“ და სხვ. ჩვენს რესპუბლიკაში სახელგანთქმული სასოფლო-სამეურნეო არტელებია, რომლებიც, საქართველოს მშრომელებთან ერთად, ახლა თავდადებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად.**

**დიდი სამამულო ომის წლებში, ყველა მოძმე ხალხის შვილებთან ერთად, ქართველი მეომრები მკერდით იცავდნენ ესტონეთის მიწა-წყალს, ხოლო ჭალარა კავკასიონის მისადგომებთან ესტონეთის მამაცი შვილებიც ულობავდნენ გზას ჰიტლერელებს საქართველოსაკენ მომავალ უღელტეხილებზე.**

**წელს პირველად მოეწყო ქართული კულტურის დღეები ესტონეთში. ეს იყო ქართველი და ესტონელი ხალხების გულწრფელი სიყვარულისა და ძმური მეგობრობის ნათელი დემონსტრაცია.**

**ესტონელებს საშუალება მიეცათ უფრო ფართოდ გაცნობოდნენ ქართულ მუსიკას, სიმღერებს, ცეკვებს, კინოხელოვნებას, მხატვრების, მწერლების ნა-**



ეს მხატვრები — ქალაქის სტუმრები არიან. ქუჩაშივე ხატავენ. რას იზამ, აქ ყველაფერი დასახატია!

წარმოებებს. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა საინტერესო შეხვედრები, საუბრები, კონცერტები, რომლებმაც კიდევ უფრო მჭიდროდ დააახლოვა ერთმანეთს ჩვენი ხალხები.

ქართული კულტურის დღეებში ესტონეთში მოეწყო ვიქტორინა თემაზე: „რა იცით თქვენ საქართველოს შესახებ?“ ესტონელებმა საქართველოს გმირული წარსულისა და მისი დღევანდელი შემოქმედებითი ცხოვრების ყოველმხრივი და სამაგალითო ცოდნა გამოამჟღავნეს. ქუჩაში შემთხვევით გაჩერებული მოქალაქეები მაშინვე ხალისიანად ასახელებდნენ ჩვენი რესპუბლიკის კურორტებს, სამრეწველო ცენტრებს, მეციტრუსეობისა და მევენახეობის რაიონებს. ისინი იცნობენ რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას სახელებს, იცნობენ ჩვენი თანამედროვე მწერლების შემოქმედებას, ქართველ მეცნიერებს, მხატვრებს, სპორტსმენებს...

ამ საზეიმო დღეებში მეც თან ვახლდი საქართველოს დელეგაციას. გადავწყვიტე ფოტოფირზე აღმებეჭდა ესტონეთის დედაქალაქის ტალინის ხედები და ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის შემეთავაზებინა იგი.

ტალინი უაღრესად თავისებური და კოლორიტული ქალაქია. იგი ბალტიის ზღვის პირზე, ფინეთის ყურის შესასვლელშია გაშენებული. ტალინის მოსახლეობა 350 ათას კაცს აღემატება.

საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქმა მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი თავისი ელექტრომოტორებით, რადიოლებით, საზომი ხელსაწყოებით, საკონცერტო როიალებით და სხვა მაღალხარისხოვანი სამრეწველო პროდუქციით, რომლებიც დედამიწის 70 ქვეყანაში იგზავნება.

ოთარ თურქია.



— მე აქა ვარ, დედა უნივერმაღშია შესული.

ფოტო ოთარ თურქიასი



ყვავილების ბაზარი.

ეს აფთიაქი — ხუთი საუკუნეა, რაც არსებობს. განა ახლის აშენება გაუჭირდებოდათ ტალინელებს, მაგრამ ეს ხომ მარტო შენობა კი არა, ისტორიაც არის.



ეს ახალი სასტუმროა. „ვერაჟი“ ჰქვიან. მახლობლად კიდევ ერთი ახალი შენობის აგება დაიწყეს. ქალაქის გუშაგს შეუძლია გულარხეინად იყოს.



# ხალხურ მოტივებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

## ახმეტელი პატარძალი

ახმეტელი გოგო ვიყავ,
ახ, ნეტავი მეო:
ეს რა დილა გამითენდა,
რა ნეტარი დღეო!
შემიყვარდა ერთი ბიჭი —
ამირანის ძეო.
ისე ძლიერ შემიყვარდა,
ლამის გავგიჟდეო.
საპატარძლოდ მომამზადეს
და მიამა მეო,
გულში ტკბილმა ჟრუანტელმა
დამიარა მეო.
ნეფიონი რო მოვიდა,
თვალი დავხუჭეო,
საქმროსთან რო მიმიყვანეს,
თავი ჩავღუნეო.
დაფა-ზურნა რო დაუკრეს,
მკლავი გავშალეო.
სიძე-ბიჭმა მიჩურჩულა:
შენ გენაცვალეო!
თეთრი ცხენი რო მომგვარეს,
მაშინ შევკრთი მეო,
მაინც დავჯექ პატარძლურად
და ბიჭს შევტირეო:
— სად მიგყავარ, რომელ მხარეს,
შენი კვნესა მეო?
ვაშ თუ ცხენმა დამაჯახოს
სადმე კლდესა მეო?
ბიჭმა მშვიდად გამიღიმა:
— გოგოვ, გავიგეო.
ალავერდის ტაძრისაკენ
გეზი აიღეო.
ცხენი ისე მოსწყდა ადგილს,
ლამის ავტირდეო:
— საყვარელო, ჩემი ცოდვა
რატომ დაიდეო.
მაგრამ ბედმა არ მიმუხთლა,
ცხენი ავლაგმეო.
ალავერდში მღვდელს უბრძანეს:
— კარი გააღეო.
მერე სიძემ დაუძახა:
— ჯვარი დაგვწერეო.
და გვირგვინი დედოფლისა
თავს დამადგეს მეო.
შემკრთალი და დაბნეული
ცხენზე შემსვეს მეო.
გავწიე და წინ წავედი,
ლამის გავფრინდეო,
მაყრიონი დამეწია
და გავიხარეო,
მყის გულიდან სევდა-ნისლი
გადავიყარეო,
დარბაზის კარს რო მივადექ,
ავცახცახდი მეო.
სიხარულით მომეხვია
კართან ხალხი მეო.
მოირბინა დედამთილმაც,
პირზე ვაკოცეო,
წინ ტაბლა რო მომაგებეს,
ტკბილად დავლოცეო.
მოვეწონე და შემოქმედს
მადლი შევწირეო:
— რა ტკბილი და ღვთისმოსავი
დედა შემძინეო.
მამამთილსაც მოკრძალებით
მხარზე ვემთხვიეო,
მული რაა, როცა მაზლსაც
გადავეხვიეო.
ლხინი ცხრა დღეს რო გაგრძელდა
ეს მიამა მეო.
მეათე დღეს დავტრიალდი,
ოჯახს მივხედეო,
მეზობლებმაც არ დამიგდეს
სიმხნე-სიკეთეო.
ცხრა თვე როცა მიიწურა,
ალმობრწყინდა მზეო, —
ვაჟიშვილი დაიბადა,
მტერთა ჯინაზეო.
თვალადობით, ტანადობით
მამას ვამსგავსეო,
დასტურ ლომის ბოკვერია,
მას ვეთაყვანეო.
დედამთილმა შემიყვარა
შვილზე მეტადრეო:
— დაილოცოს ის დღე, როცა
გამომეცხადეო!
მამამთილი მამად მიჩანს
ამ ქვეყანაზეო,
მეზობლებზეც ისე ვფიქრობ,
როგორც და-ძმაზეო.

ახმეტელი გოგო ვიყავ,
ახ, ნეტავი მეო, —
ოცი წლისას გამითენდა
სანეტარო დღეო.
მაგრამ ერთმა ენამწარემ
დამიბინდა მზეო,
სოფელი რო ახარხარა,
ვნაღვლობ იმაზეო,
არცა გარჯა დამიფასა,
არცა სინაზეო,
ავყია და ჭორიკანა
დადგა ყირაზეო,
ენის წვერზე რაც მოადგა,
მომაწერა მეო,
ერთი ულვთო ხუმრობისთვის
დამაბერა მეო...
ბედო, ჩემზე არ აცინო
ის ცრუ მოლექსეო,
სასიკეთოდ არ გასწირო,
ოთხად მოკეცეო,
დაამუნჯე, დააყრუე,
ისე დააგდეო,
ვერ დგებოდეს, ვერც წვებოდეს
განთიადამდეო...
ახმეტელი პატარძლები
ქვეყნად ამრავლეო,
ნურასოდეს გამეგონოს
მათი ძვირი მეო,
ახმეტასაც მიესალმე,
მისი ჭირიმეო.
წადი, ლექსო, ეს ამბავი
მამულს მოჰფინეო,
შენი სიტყვა ფანდურის ხმას
დაუძმობილეო...



## შავი გოგო, შავგვრემანი

შე შაშვივით შავო გოგოვ
და მშიშარავ შველივით,
შინ მშვიდობით ვინ გაუშვებს
შენისთანა მშვენიერს!

შინდისფრად რომ შემოსილხარ
და შორს ისმის შენი ხმა,
არ გაშინებს დედაშენის
შუბლშეკვრა და შერისხვა?

ამ ფშანებში რომ შრიალებ,
მაფშალია ხომ არ ხარ?
შავო გოგო, შავი ბიჭი
შეგნიშნავს და მოგნახავს.

შეგნიშნავს და შინ წაგიყვანს
შენისთანა მშვენიერს.
შავო გოგო, შავგვრემანო
და მშიშარავ შველივით!

## მე ტაძარში რად შევიდე

მე ტაძარში რომ შევიდე,
დავიჩოქო რომელ ხატთან?
შენ ხარ ღმერთი ერთადერთი,
რომლის ხილვაც მომენატრა.

მე ტაძარში რად შევიდე,
როცა აგერ თვალწინ დგახარ?
შენს თვალებში მიპოვია,
რაც ოცნებით დამისახავს.

ჩემმა ცოდვამ დაგამძიმოს
და სიკეთე არ დაგმართოს,
თუკი ჩემკენ იმზირები,
მაგრამ გულით სხვასა ნატრობ!



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

ფოტო თ. არჩვაძისა.



# ვახტანგ ონიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა











სვანური ხალხური ეპოსის „ლადლერის“
ილუსტრაციები





ფოტო ე. გიგილაშვილისა
და გ. კიკვაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფ. ონიანი. ამირანის მონუმენტის პროექტი.

# სიკეთე ჰქვიან



ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა შავლიაშვილი

მოთხრობა

წითელი აგურის ვეებერთელა შენობა ისე მოულოდნელად გადაეღობა, გაოცებისაგან კვნესა აღმოხდა ქალს. მაშინვე შეჩერდა, ზევით აიხედა...

ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ერთხანს შორიდან უყურა დიდფანჯრებიან წითელ სახლს. მერე გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა და მორიდებით შეაღო სადარბაზო კარი. დარაჯი არსად ჩანდა. მარმარილოს კიბეები აიარა და დიდი სარკის წინ შეჩერდა. ფშატისფრად აჭრელებულ თავს ნაღვლიანად გაუღიმა.

„განა რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ორ-ორ საფეხურს სულმოუთქმელად ვახტებოდი, — გაიფიქრა მწარედ, — რაღა რა დრო გავიდა, ზუსტად ორი იმ ხნისა ვარ ახლა".

უკვე წარსულმა და დაუბრუნებელმა საოცარი სინანულით აუძგერა გული. ხელი ჩაიქნია, ზურგისაკენ შემოტრიალდა. მოულოდნელად თვალი მარცხნივ გაექცა და განიერ სარკმელს მიეჯაჭვა მზერა. ახლოს მივიდა. რკინის გისოსებს სიყვარულით შეავლო ხელი.

უეცრად საოცარი სიცხადით გაახსენდა ის დღე. ადრეც ხშირად აკვირვებდა ამ მოგონებით გამოწვეული გულისტკივილი და მხოლოდ ახლა ჩასწვდა ტკივილის ნამდვილ მიზეზს.

„ ვინ იცის, ეგება მაშინ რომ წავყოლოდი ექსკურსიაზე... ადამიანის ცხოვრებაში ხანდახან თითო წუთი იქცევა ხოლმე ბედისწერად."

ამ სარკმელთან მაშინაც სალარო იყო.

იმ დღეს სტიპენდია რიგდებოდა. გოგო მოგვიანებით მოვიდა. ვიღაცის ზურგს ამოეფარა და მორიდებით გაჰყვა რიგს. როცა ფული აიღო, შეეცადა შეუმჩნევლად გამოსულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს მოჰკრეს თვალი ლევანმა და ჯიმშერმა.

— მარინე, სად მიდიხარ? აბა, ჩამოდი საექსკურსიო ფულს, — ჯიმშერმა ორივე ხელი დაუჭირა.

— ჯიმშერ, გენაცვალე, არ გეწყინოს, დღეს ვერ წამოვალ!

— არ გაგივა. როდის იყო უშენოდ სადმე მივდიოდით, ლიაც არ არის. მეორეს ვინ გვეტყვის?

— ეს ერთი მაპატიეთ, ახლა გამომტოვეთ.

— ვითომ რათაო? მიზეზი მაინც გვითხარი!

— ნამდვილს ვერ გეტყვი და ტყუილს ნუ მათქმევინებ.

— ეე, გაგვიფუჭე ხასიათი და ეგ არის. ლევან, რა განზე გამდგარხარ, მოდი მომეხმარე, რა ვუყოთ ამ გოგოს?

— თუ არ უნდა წამოსვლა, ძალით ხომ ვერ წავიყვანთ? — ხმაში იმდენი წყენა და იმედის გაცრუება ისმოდა, გოგო გაწითლდა და თავი დახარა. ჯიმშერი უხერხულად შეიშმუშნა.

— წაყვანაში მომეხმარე-მეთქი და ამან სულ მოუჭრა უკან დასახევი გზები.

— ჯიმშერ, ხელი გამიშვი, მთელ ჯგუფს ნუ დამასევ. ხომ ხედავ, მე თქვენზე ძალიან მწყდება გული...

— კარგი, რა გაეწყობა, წადი. თორემ საცაა შენც ატირდები და ჩვენც აგვატირებ.

— ნუ გეშინია, ლევანი აგრე გულჩვილი არ გახლავს. ჩემი წამოუსვლელობა არ აატირებს, — ისე თქვა, განზე გამდგარი ბიჭისათვის არ შეუხედავს, მაგრამ შეუმცდარად იგრძნო, როგორ დაიძაგრა ვაჟის სხეული და გაკერპებული ტუჩები უფრო მაგრად მოიკუმნენ.

თვალებში აციაგებული ცრემლები წამწამებით შეიმაგრა გოგომ. სასწრაფოდ გაერიდა ბიჭებს. ქუჩაში გამოვიდა.

„რახანია იმასთან ერთად ექსკურსიაზე წასვლასა ვნატრობდი და ეს რა ვქენი? — გული მწარედ ასტკივდა, — უფრო იმაზე გაბრაზდა, მიზეზი რომ არა ვთქვი. აბა, რა მექნა? მეთქვა უფულობის გამო არ მოვდივარ, ამ ფულს სხვა დანიშნულება აქვს-მეთქი? ხომ ათ-ათ კაპიკობით მომიგროვებდნენ ყველანი..."

როცა ფარდულივით პატარა მაღაზიას გაუსწორდა, გამყიდველი ქალი შეეხმიანა:

— მარინე, აქ შემოდი.

გოგო შევიდა.

— რიფსის ლურჯი ხალათები მივიღეთ. პრაქტიკაზე გამოგადგება. თუ შენს ორდერს ვადა არ გასვლია, მოდი, წაიღე.

— დეიდა მაგდა, ვადა ჯერ არ არის გასული, მაგრამ...

— რაღა მაგრამ?

გოგოს სიკვდილივით ეძნელებოდა თხოვნა და ვერაფრით ვერ გაებედნა ნისიად გამატანეთო.

— შენ ეგ ორდერი მომეცი და ის კაპიკები როცა გექნება, მაშინ მომიტანე, — მიუხვდა ქალი.

— არა, დეიდა მაგდა, მაგრე ვერ წავიღებ...

— რატომ ვერ წაიღებ, გოგო? გუშინ ჩემი ბიჭის ფული ავიღე. უწინამც მიწა დამეყაროს ამ ხელებზე, ვიდრე იმისი სისხლით მონაგრებული ჩემზე დავხარჯო. უქმად დებას რას გამოვრჩები. დღეს მოიხმარე და როცა ჩამოვა, ახალი კოსტიუმის სასარჩულე შენ უყიდე.

— გმადლობთ, დეიდა მაგდა. რას იწერება ვასიკო, როგორა ვარო?

— მე კარგის მეტს რას მომწერს, შვილო, მაგრამ იმისი თქმა რათ მინდა. ტყვიის ქვეშ ყოფნა მეჯლისი და ლხინი რომ არ არის, მე კი არ ვიცი?

— ნუ, დეიდა მაგდა, ნუ გეშინიათ. რაკი აქამდე კარგად მოაღწია, ახლა აღარა უჭირს რა. ბევრი გაიარა, ცოტაღა დარჩა. საცაა გათავდება ომი.

— შენ გაიხარე, შვილო. ნეტამც არ იქნება, ღმერთმა მაღირსოს და ისიც თქვენში გარეული მაჩვენოს.

— მაგას წინ რაღა დაუდგება, დეიდა მაგდა? — ტკბილად გაუღიმა გოგომ, დახლზე გადაიწია და ცრემლიანი თვალები დაუკოცნა მოლოდინით გულდაღეულ დედას.

ქალმა მხრებზე მოუთათუნა ორივე ხელი. მერე ორდერი უჯრაში ჩადო, ხალათი ქაღალდის ნაგლეჯში გაუხვია, მშვიდობაშიო, უთხრა და გამოდარებული ღიმილი დაადევნა მიმავალს.

— მაგდა, შენ მაგ გოგოს ისე ეფერები, როგორც გეტყობა, საშენოდ დაგიგულებია, — გარეთ გამოსულს ძია ტიმოს ხმა დაედევნა.

— რატომაც არა. ჩამომივიდოდეს თორემ, თვალად დაიწუნებს თუ ტანად? შენ ეგ გოგო კარგად ვერ გიცვნია. თავის წონა ოქროდა ღირს.

გოგოს ლაწვები აეწვა. „რომ არა ვარ მაგრე კარგი, როგორ გავკარგდე, დეიდა მაგდა, რომ იმედი არ გაგიცრუო და გული არ გატკინო? ისე კი ნეტავ პართლა მალე ჩამოვიდოდეს, თორემ საცოლის მეტს რას იშოვის, გოგოები ბუზებივით დაესევიან".

ქუჩა გადაჭრა, სანაპიროსაკენ ჩაუხვია. კუთხემდე ვერ მიატანა, სხვა ქალმა შეაჩერა. თავდახრილი მიუახლოვდა და მორიდებით ჩურჩულით შესთავაზა:

— გოგონა, წინდები ხომ არ გინდათ?

როგორ არ უნდოდა... წინაღამეს წინდის თვალის ამოყვანაში თავზე დაათენდა, მაგრამ...

ქალს სახეში შეხედა. ერთი პირობა შენობის წინ შეგროვებულებისაკენ გაგზავნა დაუპირა, მაგრამ მაშინვე მიხვდა: ამ დარბაისელი ქალისათვის ასეთნაირი თავაზი ჩვეულება არ იყო. გაჭირვება აყიდვინებდა და იმდენ ხალხში შეთავაზება გაუჭირდებოდა.

უკან შემობრუნდა, ნაცნობ გოგონებს დაუძახა, წინდები აჩვენა და თანაც დაუბარა: თქვენ თუ არ გამოგადგებათ, ჩვენიანებში მოუნახეთო მსურველი.

ხიდთან მისულს პატარა გოგო-ბიჭებმა იის კონებით სავსე ხელები შეაგებეს. პაწაწინა კონა იყიდა. მერე მარჯვნივ გაუხვია და ვეებერთელა ეზოში შევიდა. ქათქათა ფარდებიან შუშაბანდის ფანჯარაზე დააკაკუნა, პასუხს არ დაუცადა, კარი შეაღო.

— დეიდა მარო, შინა ხართ?

— მარინე, შენა ხარ? შემოდი!

გოგო შუშაბანდიდან ვაგონივით გრძელ, უფანჯრო ოთახში შევიდა. ეტყობოდა ადრე დერეფნობდა ეს ოთახი.

— როგორა ხართ?

— აბა, როგორ ვიქნებით. გუშინ გიორგი როსტოვში წავიდა.

— რათა?

— რა ვიცი, რაღაცა ბანკის მმართველების კურსებიაო, აქ მიავლინეს.

— ჯერ მოხსნეს და ახლა სასწავლებლად გააგზავნეს. მაშ რაღას ერჩოდნენ?

— ცეცხლი რომ ჩავარდეს იმათ ჯანში. ვითომ ქრთამის აღება დააბრალეს, რაკი ვერ დაუმტკიცეს, უკან აღარ დააბრუნეს და იქ გაგზავნეს. ახლა ჩვენ მაგისი დრო გვქონდა?

— რას ამბობთ, დეიდა მარო, ეგ რამ აფიქრებინათ?! ძია გიორგი მაგას იკისრებდა? სიცოცხლეს დახარბებული ყმაწვილი ბიჭები იქ სისხლსა ღვრიან და იმათ ოჯახებს ეს აქ ფულს აართმევდა? პატიოსანი კაცი მაგას როგორ იკადრებდა?!

— თავი რომ გაუხმეთ იმათა.

— თქვენ დიდი ხნით ჩამოხვედით?

— ერთ თვემდე დავრჩები. ბავშვებს ცხელ კერძს მაინც დავახვედრებ. იქ მარტომ ვის ვუყურო?

ქალი დადუმდა. ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ლენა რომ არ არის სახლში. მექუდესთან წავიდა და შეაგვიანდა. ისიც გადაჰყვა მაგ ქუდებს. მესამეს იკეთებს და კიდევ იწუნებს.

გოგომ თავისი ქუდი გაიხსენა. ფეტრი თვითონ გადაჭიმა, მერე მარჯვენა გვერდზე მოკრძალებული ბაბთა მიამაგრა და ოსტატის გაკეთებულს დაამსგავსა.

— ლენა არ მინდოდა, თქვენთან მოვედი, დეიდა მარო, — მოსულს ენა დაება, — თქვენ ახლა, ალბათ ძალიან გიჭირთ... დღეს სტიპენდია ავიღე... მე ახლა არა მჭირდება... როცა გექნებათ, მაშინ დამიბრუნეთ...

— არა, ნუ დატოვებ... დღეს საბურთალოს ბაზარზე რაღაცეები გავატანე გასაყიდად... შენ ფული როგორ გამოგერთმევა... როგორმე იოლას გავალთ, — უარობდა ქალი, მაგრამ ფულის ჩამოსართმევად მაინც იშვერდა ხელს.

იმ დღიდან თვეც არ გასულიყო, ხელმეორედ აწყენინა ლევანს.

— მარინე, შენი გულისათვის გუშინ დეკანმა დამიბარა.

— რათა, ლევან?

— რათა და საგნის ჩაბარების გადადება რომ ითხოვე, იმათა!

— უარი თქვა გადავადებაზე?

— უარი არა თქვა, მაგრამ როცა ვუთხარი ამხანაგი ჰყავს ავად, იმას უვლის და იმიტომ ვერ ასწრებს ჩაბარებას-მეთქი, ძალიან გამიბრაზდა.

— რათა, განა ავადმყოფობა საპატიო მიზეზი არ არის? ან შენ რას გიბრაზდებოდა?

— საპატიო მიზეზი საკუთარი ავადმყოფობაა და არა სხვისაო. მე კი იმიტომ გამიბრაზდა, რომ ჯერ ერთი შენი ჯგუფხელი ვარ და მეორეც... — გაჯავრებულმა ბიჭმა სიტყვა შუაზე გაწყვიტა და მოულოდნელად გაბრაზდა.

— მეორე რა, ლევან? — უნებურად ჭირვეული ჟინიანობით წარმოთქვა გოგომ, მაგრამ მაშინვე მიხვდა უთქმელობა ჯობდა და რაკი გაფრენილ ნათქვამს ველარას უშველიდა, საკუთარ თავზე გულმოსულმა უფრო ჟინიანად გააგრძელა: — რაკი სხვისაა, ღვთის ანაბარად მივატოვო?

— ღვთის ანაბარად რად დარჩება, დედაცა ჰყავს და მამაც.

— ტყუილად რად მალაპარაკებ, განა არ იცი დეიდა მარო რომ რაიონშია და ძია გიორგი როსტოვში?

— ჩამოვიდნენ და მიხედონ თავიანთ შვილს.

— ის არ ატყობინებს და მე რა ვქნა?

— ჰოდა, დეკანმაც სწორედ ეგ მითხრა: ეტყობა, მარინე გაგიჟდა. ბიჭო, ის ვიღაცაა თავის მშობლების გულს უფრთხილდება და ეს მათი გულისათვის თავს იღუპავს და სწავლასა რჩება? მაგას რომ საგანი ჩაუბარებელი დარჩეს, ვინ წაეხმარებაო?

— მერე შენ რა უთხარი?

— დავეთანხმე, რომ გიჟი ხარ.

— რათა ვარ გიჟი. თქვენზე ნაკლებად არც მე ვიცი, რომ ლენა სისულელეს ჩადის, როცა საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე დებს, მაგრამ ახლა რომ ჯიბრი გავუწიო და მივატოვო, ეგ დაჩრდილვა ხომ ჭლექად გადაექცევა. მერე ეგებ ჭკუა ისწავლოს, მაგრამ ჯანმრთელობას ველარ აღიდგენს. ხელის წაშველება სულელსა და გაჭირვებულს უნდა, თორემ ბრძენი თვითონ წაგეხმარება.

— ჰოდა, შენ დიდი ბრძენი მყოლიხარ, პირიქით რომ ეხმარები...

— ლევან...

— რა ლევან, მეტისმეტი ბრეტისბრეტია... შენი გულისათვის მე ვილანძღები.

— კარგი, ლევან, შევეცდები ჩემი გულისათვის შენ აღარ შეგხვდეს უსიამოვნება, — აკანკალებული ხმით უპასუხა გოგომ და საჩქაროდ გაეცალა, რადგან შეეშინდა იქვე არ აღრიალებულიყო. მობრუნება ვერ მოასწრო, დეკანს შეეხეჩა პირისპირ. გვერდზე მიდგომა და თვალის არიდება სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— მარინე, როგორ არის შენი საქმეები?

— გმადლობთ, ბატონო, შევეცდები ყველაფერი დროზე ჩავაბარო, — დაბნეულად უპასუხა გოგომ.

— რა ვიცი, შენი ჯგუფხელი ისე თავგამოდებით გიცავდა, თავდებადაც კი გიდგებოდა. ჩვენ წავეხმარებოდითო, მაგრამ იმას არავის დახმარება არ დასჭირდება, ყველა საგანს ხუთზე ჩააბარებსო. ისეთი რა აჭამე იმ ბიჭს, ასე რომ გერწმუნება? — დეკანმა კეთილად გაუღიმა და მხარზე მოუთათუნა ხელი. — აბა, შენ იცი, შვილო, უკანასკნელი კურსია და მიხედე შენს თავს. ძალიანაც ნუ გადაიქანცები, თორემ თუ დაჭლექდება, შენ დაჭლექდები. მერე რაღა გეშველება? პატრონი შენ არა გყავს და ჭირისუფალი.

ახლა კი ველარ შეიმაგრა გოგომ თავი და წამწამებს მოწყვეტილი ერთი კურცხალი ლოყაზე დაუგორდა.

„რაკი თვითონ ცოლი ჭლექით მოუკვდა და ოთხი წლის ბიჭი ხელში შერჩა, ყველგან ჭლექი ელანდება ამ საწყალს“.

როცა რკინის გისოსებს ჩაბღაუჭებული თითები დაბუჟდნენ, მაშინღა გამოფხიზლდა თმაჭაღარა ქალი. ნაღველჩამდგარი თვალი იქაურობას ერთხელ კიდევ მოავლო, დამძიმებული ფეხებით მარმარილოს კიბეებს დაუყვა და სადარბაზოდან გარეთ გამოვიდა.

ცა საწვიმრად მოქუფრულიყო. პატარა ქუჩას ერთმანეთთან ახლოს მდგარი ლამპიონები დღესავით ანათებდნენ.

საწყალი დეიდა მაგდა. სწორედ იმ წელს მიიღო შვილის დაღუპვის ცნობა, მაგრამ ოცი წელი მაინც დაჯერებული ელოდებოდა: სადმე იქნება და გამოჩნდებაო. მე კი ვასიკოს სასარჩულე ფულით შარშან დეიდა მაგდას კუბოს ვუყიდე სარჩული. როგორ მარიგებდა ხოლმე საცოდავი:

„შვილო, სიკეთე ჰქმენ, ქვას დადევი, გამოივლი, გზად დაგხვდებაო“.

ბოლო წელს კი, საავადმყოფოში რომ დავდიოდი, სულ მეჩხუბებოდა: შენს თავს მიხედე, მარტოობაში რომ გამოყრუვდი, მე არაფერი მიჭირსო.

რა ბედზე გადარჩა მაშინ ლენა. მისიანებმა იმ დროს გაიგეს, როცა საფრთხემ გაიარა. მთელი ქვეყანა შემიყარა, შინაურს და გარეულს ყველას უამბობდა: მარინემ გადამარჩინა, მთელი თვე ტანზე არ გაუხდია. დღისით მე მივლიდა, ღამით მეცადინეობდაო.

ეჰ, როგორ შემოგვეხარჯა ხელში დრო. ლენას თამრიკოს უკვე ათი წელი უსრულდება. მე კი...

ქათქათა ფარდებიანი შუშაბანდის ფანჯარა დააკაკუნა. პასუხს არ დაუცადა, კარი შეაღო.

— ვაშაა! დეიდა მარინე მოვიდაა! — თამრიკო სკამიდან წამოხტა და მოსულს კისერზე ჩამოეკიდა.

— თამრიკო, წყნარად, რა ამბავია, მოდი ჩქარა, დაამთავრე ჭამა. მარინე, სად დაიკარგე, როგორ მოგვიძულე, რომ აღარსად გამოჩნდი?

— მე რომ არ მოვიდე, თქვენ არ უნდა დარეკოთ, აღარ უნდა გამაგებინოთ თქვენი ამბავი? ძია გიორგი, როგორა ხართ?

— ისე, როგორც ჩემს სიბერეს შეეფერება. შენ რასა იქ? — კაცმა ლოყაზე აკოცა ქალს.

— დეიდა მარინე, მე გირეკავდით, მინდოდა მეთქვა მუსიკაში ხუთიანი რომ მივიღე, მაგრამ მითხრეს მივლინებაშიაო.

— თამრიკო, შენ დიდების ლაპარაკში ნუ ერევი, კოვზი წესიერად დაიჭირე, — დატუქსა დედამ, მერე სტუმარს მიუბრუნდა: — რა განზე ჯდები, მოდი მაგიდასთან. დედი, მარინეს ჩაი დაუსხი!

— ნუ სწუხდებით, დეიდა მარო, მე თვითონ გადმოვიღებ ჭიქას. ახლოსა ვზივარ.

— იჯექი, იჯექი, შვილო, რა შეწუხებაა. თამრიკო, ეგ ნამცხვარი რატომ არ შეჭამე. აკი შენ გამოგიცხო დედამ. საკვირველი ბავშვია პირდაპირ. სულ არ უყვარს ტკბილი. რა მეხსიერება უნდა ჰქონდეს. მარინე, ერთი ნაჭერი არ დაატკბობს, კიდევ ჩააგდე შაქარი.

— გმადლობთ, აღარც მე მიყვარს ტკბილი ჩაი.

— შენ სულ მაგასა ნატრობდი და ახლა აღარ გიყვარს? — გაოცდა ლენა.

— ჰო, როგორ იცვლება სანატრებელი. ომის დროს ხახვით ჩაისა ვსვამდი და თან იმაზე ვოცნებობდი: ნეტავი უფასო ჩაიხანა გამახსნევინა და მთელი ქვეყნის ბავშვები ტკბილი ჩაით დამაძღობინა-მეთქი.

— შენ მუდამ ასე უცნაური იყავი. მე მაგისთანა რამე თავში არასოდეს მომსვლია. თუმცა მთელი ომის განმავლობაში ჩვენს სარდაფში ორი-სამი ტომარი შაქარი მუდამ ეგდო, — თქვა ლენამ.

— დედა, მერე რატომ დეიდა მარინეს არ აძლევდი?

მაგიდასთან ერთი წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ უნებურად მარინეს შეხედა. ქალს ბაგესთან მიტანილი ჩაის კოვზი ჰაერში გაუჩერდა. უცებ საოცრად გარკვევით გაისმა საათის ხმა.

— იმიტომ, რომ დედა გვეუბნებოდა, არსადა თქვათო. შენ გაუგონარი გოგო ხარ. რამდენჯერ გითხრეს, დიდების ლაპარაკში ნუ ერევიო და შენ მაინც არ იშლი შენსას.

— შენც ნუ ეტყოდი ბევრი გვაქვსო. ერთ პაწაწინა ტომარას აიღებდი და დეიდა მარინეს ეტყოდა: სულ ეს არის, ნახევარი შენ და ნახევარი მეო. როცა გაუთავდებოდა, ისევ პატარა ტომრიდან გადაუყოფდი. არა, დეიდა მარინე?

— თამრიკო, აბა ახლავე ადექი, დაემშვიდობე ყველას და დასაძინებლად წადი. უკვე მეათე საათია

— ახლავე, ბებო. დედა, აი, მე ხომ კარგი გოგო ვარ, ხომ გიგონებ ყველაფერს. დეიდა მარინე, დაიხარეთ, ყელში უნდა გაკოცოთ, — ბავშვმა პატარა მკლავები საყვარლად შემოაჭდო ყელზე. მერე მოულოდნელად განზე გაიწია, ქალის სახე თავისაკენ შემოაბრუნა და შეეცადა თვალებში ჩაეხედა. — დეიდა მარინე, რა დაგემართათ?

— თამრიკო, შენ ამ საღამოს რა ღმერთი გიწყრება, რა სისულელეებსა ლაპარაკობ. აბა, რა დაემართა?

— რა ვიცი, რაღაცნაირი გაცივებული მომეჩვენა...

ბებიამ ბავშვს ხელი მოჰკიდა და საბაზანოში გაიყვანა. ოთახში ჰაერი ტყვიასავით დამძიმდა. ქალი ადგა. ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია და სარკმელი გამოაღო. გარედან წყვდიადმა და წვიმის ხმაურმა შემოჰკვნესა. ერთხანს გაოგნებული გასცქეროდა სიბნელეს. მერე უცებ მოეჩვენა, რომ ამ წკვარამში სახლის გზას ველარ გაიგნებდა. როგორღაც უხერხულად შემოტრიალდა. პალტო გადაიცვა და ისე მოულოდნელად მიეფარა კარს, რომ ვერც ერთმა ვერ მოასწრო დასარჩენად შეპატიჟება. როგორც ისხდნენ, ისევე დარჩნენ გაქვავებულები.

# სიმღერის მადლი



მარიამ ბიწკინაშვილი

სიღნაღი, ქალაქი აშენებული მაღალ კლდეზე... აქ ცხოვრობდა პეტრე სარაჯიშვილი, მას თორმეტი შვილი ჰყავდა; ეს იყო მზამზარეული ანსამბლი — მთელი ოჯახი მღეროდა. პეტრეს მერვე შვილმა — ვანომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როგორც ქართული სიმღერის ორფეოსმა... იმავე გომბორის ქედზე დგას ქალაქი თელავი. სარაჯიშვილებს აქედან, თელავიდან ბანს აძლევდა ელეფთერ ზურაბიშვილის ოჯახი; აქაც ყველა ღუღუნებდა, ყველა მღეროდა და ცეკვავდა. ელეფთერის შვილებმა — ქეთევანმა და ილიამ თავიანთი სიმღერითა და ცეკვით მოხიბლეს და განაცვიფრეს დიდი ქართველი მწერლები — აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ყაზბეგი. როგორც მოგონებებში ვკითხულობთ, ქეთევანის სიმღერამ აკაკი აატირა.

ასეთი მუსიკალური ოჯახები საქართველოში მუდამ იყო. მათ რიცხვს ეკუთვნოდა შაშიანელი (გურჯაანის რაიონი) ნიკო ბიწკინაშვილის ოჯახიც. ამ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა მარიამ ბიწკინაშვილი.

საქართველოს ყველა კუთხეს ჰყავს თავისი თვითნასწავლი კომპოზიტორები, მომღერლები და მოცეკვავენი, რომელთა სიმღერებმა და ცეკვებმა უკვე კარგა ხანია დიდი ყურადღება მიიქციეს; ამ სიმღერებსა და ცეკვებს გადასცემენ საკავშირო და რესპუბლიკური რადიოსადგურები, მათ ვხედავთ და ვისმენთ სატელევიზიო ეკრანებზე. ასეთ თვითნასწავლ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის მარიამ ბიწკინაშვილიც.

შაშიანელი ნიკო და ევა ბიწკინაშვილების ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა. ოჯახში ხუთი ბავშვი იზრდებოდა, ხელმოკლე ოჯახისათვის მათი რჩენა და მოვლა-პატრონობა არც ისე იოლი საქმე იყო. მაგრამ გაჭირვების მიუხედავად, გული მაინც უმღეროდათ, და ამ სახლიდანაც ხშირად ისმოდა მომხიბლავი ქართული ჰანგები.

მარიამ ბიწკინაშვილი ბავშვობიდანვე გაიტაცა ხალხურმა სიმღერამ. თავისი ოჯახის წევრებთან ერთად პატარა მარიამიც მღეროდა კახეთის სხვადასხვა სოფლებში ხალხურ სანახაობებსა და დღესასწაულებზე. შაშიანელ მომღერლებს ხალხი ყველგან აღტაცებით ხვდებოდა. ვინ მოთვლის რამდენი მაყურებელი მოუხიბლავს მათ ტკბილ „ურმულს", „ჩაკრულოს" და „სუფრულს".

მარიამი თავის მოგონებაში ამბობს: ჩვენ, პატარებს ჩვენი მშობლები სიმღერით გვაძინებდნენ და სიმღერითვე გვაღვიძებდნენო. ასეთ გარემოში აღზრდილი პატარა გოგონა, სოფლად სადმე როიალს რომ დაინახავდა, ჩუმად მიუჯდებოდა, უკრავდა, უკრავდა თავდავიწყებით. სიმღერით გატაცებული პატარა მარიამი თელავში ჩადის და ზაქარია ჩხიკვაძის მიერ ჩამოყალიბებულ მუსიკალურ სკოლაში იწყებს მეცადინეობას.

ერთხელ ამ სკოლის შესამოწმებლად ჩამოვიდა კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი; შემოწმების შემდეგ სამ მოსწავლეს, მათ შორის მარიამს დაუწერეს მაღალი ნიშანი—ხუთიანი. დაკვრის დროს მარიამმა შეამჩნია, რომ კომპოზიტორმა არაყიშვილმა რაღაც უთხრა მასწავლებელს რუსულ ენაზე. ნიშნების გამოცხადების შემდეგ გახარებულმა მარიამმა მოკრძალებით ჰკითხა მასწავლებელს, თუ რა თქვა დიდმა კომპოზიტორმა. ჩხიკვაძემ უპასუხა: „ძალიან მოეწონა არაყიშვილს ასე მოკლე ხანში შენი ასეთი წინსვლა და მოცარტის სონატის ასე კარგად შესრულებაო".

მარიამის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა მისმა უფროსმა ძმამ ვანომ, რომელიც კარგ მომღერლად ითვლებოდა. გიორგი ლეონიძე, რომელსაც ვანოს სიმღერები მოსმენილი ჰქონდა, ერთხელ მარიამს უთხრა: „თქვენშიც არის თქვენი ძმის ვანო ბიწკინაშვილის მადლიანი ხმის ნატეხიო".

ვანო ბიწკინაშვილმა თავისი უმცროსი დის სიმღერა რომ მოისმინა, უთხრა: „ისე არ მოვკვდები, თუ შენ კონსერვატორია არ დაგამთავრებინეო". მაგრამ უფროსი ძმა უდროოდ გარდაიცვალა, მარიამს გაუძნელდა თავის დროზე მიეღო მუსიკალური განათლება, ის მაინც დაუცხრომლად მეცადინეობდა, ერთხანს მუსიკალურ ტექნიკუმშიც სწავლობდა; უკვე კარგა ხნის შემდეგ, ჭაღარით მოსილი ქალი მორიდებით წარსდგა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუსიკალური სექციის წინაშე და თავისი სიმღერები წარადგინა. მუსიკალური სექციის წევრები — კომპოზიტორები, მომღერლები, მუსიკათმცოდნეები დიდი მოწონებით შეხვდნენ მარიამის ნაწარმოებებს და ასეთი შეფასება მისცეს: მიღებული იქნას შესასრულებლად მარიამ ბიწკინაშვილის სიმღერები „ნანა" (ტექსტი კომპოზიტორისა), „გაზაფხული" (ტექსტი მისივე), „ძლივს მარტო დავრჩი" (ტექსტი აკაკი წერეთლისა). მარიამ ბიწკინაშვილის სიმღერამ „წიგნი ნესტან დარეჯანისა საყვარელთან" პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. მასვე ეკუთვნის სიმღერა თავისივე ტექსტზე — „იდიდე შოთას კალამო", რომელიც დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ამას გარდა, თვითნასწავლი კომპოზიტორი მარიამ ბიწკინაშვილი ავტორია ბევრი მშვენიერი სიმღერისა, რომელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ: „სამშობლო", „სუფრული", „ლირიკული ვალსი", „გაზაფხული", „სიმღერა ლენინზე", „ზეიმობს ჩემი სამშობლო"; მარიამი დღესაც დიდი გატაცებით განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას, ქმნის ახალ სიმღერებს, რომლებსაც ჩვენი მსმენელები მუდამ აღტაცებით ხვდებიან.

ალექსანდრე სიგუა

---

მიხეილ სვეტლოვი
ლენინური პრემიის ლაურეატი

## განთიადისას

მზე ამოვიდა,
და ძველებურ ბილიკებს მისდევს,
როგორც იტყვიან,
ღვთის სინათლე ქვეყნად ანთია,
მზე აკაშკაშდა,
ქოჩორა ტყე შრიალებს ისევ,
ფრინველებსა და ბუნებაზეც
ზრუნავს პარტია.
რა ვიქნებოდი,
ლენინი რომ არ ყოფილიყო,
ჩემს სიჭაბუკეს
სიჭაბუკეს ვერ დავარქმევდი...
და ვგრძნობ ძალ-ღონეს —
ჩემში ახლა ჭარბად რომ მოდის —
და ქვეყნის ხალისს უერთდება —
ძლიერს და ქმედითს.
გამოადექი, ჩემო ლექსო, ადამიანებს,
გამოადექი, ჩემო გულო, იდეებს ნათელს.
გზას უნათებენ
ახალგაზრდებს წლები მზიანი,
ეს განთიადიც სიჭაბუკეს იმედით ანთებს!

თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა

გივი თათეიშვილი

## მიემატება სიცოცხლეს ასე...

თეთრ გზებს დრო მისდევს,
დროს — თეთრი გზები,
შემოვეხვევით ამ გზებს ფესვებით,
ჩვენ წავალთ, მოვლენ უკეთესები,
და მათ შორიდან გაველექსებით.
აღმოვცენდებით მაშინ მუხებად,
ვერ შეგვძრავს მეხის გადაქუხება,
ტაძარს შევრჩებით ლოცვა-კურთხევად,
ცისარტყელებად გარდავიქმნებით,
დროს აამღერებს მზის მოძრაობა,
კვლავ ნათელ გზებზე ივლის თაობა.
ჩრდილს დაერქმევა არარაობა,
სიკეთეს, ძმობას — გარდუვალობა;
და სიო ჩვენს თეთრ საფლავის ქვაზე
ვარდს აამღერებს ბულბულის ხმაზე...
მიემატება სიცოცხლეს ასე,
მაისის ეშხი, ფერებით სავსე
და დავბრუნდებით იმ თეთრი გზებით,
ზღაპრებით, ლექსით, მოგონებებით.
საფლავებიდან გულის ფესვებით
სისხლს მივაწოდებთ გაუშლელ ვარდებს...
მარადისობას ავუნთებთ სანთლებს.

## ვაჟა შუაფხოს მთებში

ამართულიყო აჩრდილი მთაზე,
ისმოდა ნაბდის ჩუმი შრიალი,
ცა იხეოდა ჯიხვების რქაზე
და ღმერთს უხმობდა ადამიანი.
სადღაც შემოჰკრეს ცული მუხის ხეს,
გაისმა ჩუმი ოხვრა ძეწნების,
ვით ნაფოტები. მეხის გრუხუნზე
იფანტებოდა მთებში ლექსები.
სახლში კი ისევ ენთო ბუხარი,
ფიჩხზე იწვოდა დარდი ღამისა,
საფანდურე ხე გამოუწველი
შინ დარჩენილ ლექსს ედო ბალიშად.
...რიხით ასულა ვაჟა მწვერვალზე,
გადაღლილიყო ღმერთთან ვედრებით,
ბაგე თრთოდა და მეხის ქუხილზე
იფანტებოდა მთებში ლექსები.

## მატიანის ერთი ფურცელი

# ეგვიპტელი ხალიფას თავგადასავალი

სუმბატ დავითის ძის „ქრონიკაში" ბაგრატ III-ის მეფობასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ მან „ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო... მეფე სპარსთა თავის მეგობრად და ერთგულ ყო... და ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ყოვლადვე".

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა და დასაბუთდა მოსაზრება (ვ. გაბაშვილი), რომ „სპარსთა მეფის" ქვეშ იგულისხმება ბაგრატის თანამედროვე ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფა ალ-ჰაქიმი, რომელიც 996—1021 წლებში იჯდა ტახტზე. ეს ის ალ-ჰაქიმია, რომელსაც შემდგომ ურთიერთობა ჰქონდა ბაგრატის ვაჟთან გიორგი I-თანაც.

ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა მცირე ცნობები შემოგვინახეს ბაგრატ III-ის და გიორგი I-ის პიროვნების შესახებ. სამაგიეროდ, ეგვიპტელი ხალიფას ირგვლივ არაბულ წყაროებში აუარება ცნობებია დაცული, რომელთა დიდი ნაწილიც ანეკდოტურ ხასიათს ატარებს. ამას განაპირობებდა თვით ალ-ჰაქიმის პიროვნება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ მონარქს არ გააჩნდა ისეთი ცვალებადი ბუნება, როგორც ალ-ჰაქიმ ბი ამრ ალლაჰს, რომლის ზედწოდებაც (ბი ამრ ალლაჰ) ალლაჰის ნების აღმსრულებელს ნიშნავდა.

12 წლისაც არ იყო ალ-ჰაქიმი, როცა ეგვიპტის ხალიფა გახდა. 16 წლისა საბოლოოდ გათავისუფლდა გარეშე პირთა ზედამხედველობისაგან და დამოუკიდებლად დაიწყო მართვა. ცისფერი თვალები ჰქონდა ხალიფას და მას მზერას ვერ უსწორებდნენ ქვეშევრდომები, ხოლო მისი ხმა ლომის ბდღვინვას მოაგონებდა კაცს.

ცხრამეტი წლის ალ-ჰაქიმმა დაიწყო თავისი უცნაური გეგმების განხორციელება. ერთი თანამედროვის თქმით, მისი მმართველობის დროს ერთმანეთს უპირისპირდებოდა გამბედაობა და სიჯაბანე, სწრაფვა სიკეთისაკენ და კეთილმოქმედთა ჟლეტა. ხშირად ის იყო გულუხვი, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ძუნწი, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არა შობილა.

ალ-ჰაქიმის პირველი ღონისძიებები მიმართული იყო ქრისტიანთა წინააღმდეგ. ქრისტიანი დედის ნაშობმა ისე შეავიწროვა ქრისტიანები, რომ მსგავსი რამ მაჰმადიანურ სამყაროს დიდი ხანია აღარ ახსოვდა. ხალიფას ბრძანებით დაანგრიეს ქრისტიანთა ეკლესიები და მონასტრები. ქრისტიანებს და ებრაელებს ებრძანათ ეტარებინათ შავი თავსახურავები და შავი ქამრები. ქრისტიანებს დაევალათ კისერზე ჩამოეკიდებინათ 50 სმ სიგრძის და ორნახევარი კგ წონის ჯვარი, ებრაელებს კი ამავე წონის ხის ფირფიტა. ქრისტიანებს აეკრძალათ მაჰმადიანებთან ერთად ერთი გემით მგზავრობა, მაჰმადიანი მსახურის ყოლა, მაჰმადიანთა აბანოებში შესვლა.

მუსლიმური სამართალი ღვინის სმას უკრძალავს მაჰმადიანებს. ახლა ალ-ჰაქიმმა ღვინო საერთოდ აკრძალა ქვეყანაში და გააჩეხინა ვენახები. აკრძალა ქიშმიში და თაფლი, რომლებიდანაც შეიძლებოდა მათრობელა სასმელების დამზადება. შეკრიბეს და დაწვეს რაც კი ეგვიპტეში ქიშმიში იყო. ეს ხალიფას 500 ოქროს დინარი დაუჯდა. ზღვაში დააქციეს 5.000 დოქი თაფლი. შემდეგში ალ-ჰაქიმმა გააუქმა ღვინის სმის აკრძალვა. ექიმმა შთააგონა ხალიფას, რომ ღვინო სასარგებლო იყო მისი ჯანმრთელობისათვის. მერე ალ-ჰაქიმმა ქრისტიანების დევნაც შეაჩერა და ნება დართო გამაჰმადიანებულ ქრისტიანებს თავიანთ რწმენას დაბრუნებოდნენ.

ალ-ჰაქიმამდე ქრისტიანებს მაღალი თანამდებობები ეჭირათ ეგვიპტის სამმართველო აპარატში. ისინი მფარველობდნენ თავიანთ თანამოძმეებს. ეს იწვევდა მაჰმადიანთა უკმაყოფილებას და ამდენად ალ-ჰაქიმის რელიგიური პოლიტიკა მაჰმადიანთა ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ სხვა მისი ღონისძიებები ნამდვილად კურიოზულ ხასიათს ატარებდა.

შვიდი წელი არ გაუხდია ალ-ჰაქიმს უხეში შალის სამოსი და არ წასულა აბანოში. ორი წლის განმავლობაში დღისით და ღამით სანთლების შუქზე იჯდა. შემდეგ ბნელში ყოფნა მოეხასიათა და დღისით ცხოვრება აკრძალა. დუქნებსა და ბაზრებში ვაჭრობა მხოლოდ ღამით უნდა ყოფილიყო. მერე ეს ჭკუაში არ დაუჯდა და ბრძანა ძველ წესს დაბრუნებოდნენ. მაგრამ ახლა მზის ჩასვლის შემდეგ არავის ჰქონდა უფლება კარში გამოსულიყო.

ქალებს აეკრძალათ ქუჩებში გამოსვლა, ფანჯრებში გამოხედვაც კი, ხოლო მეწაღეებს ქალების ფეხსაცმელების კერვა, რათა ეს აკრძალვა უფრო ეფექტური ყოფილიყო. ქალების ტყვეობა 7 წელი და 7 თვე გაგრძელდა.

ალ-ჰაქიმმა აკრძალა სიმღერა, მუსიკალური ინსტრუმენტები და ყოველგვარი გასართობი, სეირნობა ნილოსის ნაპირებზე, დაახოცინა კაიროს ქუჩებში ყველა ძაღლი.

რომის იმპერატორმა ნერონმა რომი გადაწვა, ალ-ჰაქიმმა კი ეგვიპტის ძველი დედაქალაქი — ფუსტატი. ქალაქში შეიარაღებული ბრძოლა გაჩაღდა ხალიფას მომხრეებსა და მოსახლეობას შორის, რაც ერთ კვირას გაგრძელდა. კაიროს მახლობლად, მუკატტამის მთაზე იჯდა ალ-ჰაქიმი და ტკბებოდა ფუსტატის მოოხრებით, ხოლო როცა შეწუხებული მოსახლეობის დელეგაციამ შეწყალება ითხოვა, გაკვირვებით იკითხა: „კარგი, მაგრამ ვინ ბრძანა ფუსტატის დაწვა?"

ალ-ჰაქიმის მოღვაწეობა უაღრესად არაპოპულარული იყო ხალხში. უკმაყოფილოთა მღელვარებას სასტიკად ახშობდა ხალიფა. მის მმართველობას 18.000 ქვეშევრდომის სიცოცხლე შეეწირა.

თავისი მმართველობის დასასრულს ალ-ჰაქიმმა საკუთარი პერსონის გაღმერთება დაიწყო. 1018 წლის ერთ მშვენიერ დღეს კაიროს საკრებულო მეჩეთში ლოცვის დროს მისი ბრძანებით ტრადიციული სიტყვები „სახელითა ალლაჰისა მოწყალისა მწყალობლისა" შეცვალეს სიტყვებით „სახელით ალ-ჰაქიმისა"... რამაც მაჰმადიანთა წარმოუდგენელი აღშფოთება გამოიწვია. მათ დახოცეს ალ-ჰაქიმის მომხრეები. შემდეგ ალ-ჰაქიმის გაღმერთების ქადაგება დაიწყო ვინმე დარაზიმ, მაგრამ ისიც იძულებული გახდა დატოვებინა ეგვიპტე. დარაზიმ ალ-ჰაქიმის ღვთაებრიობის იდეა გაავრცელა სირიაში ჰაურანის მთიან რაიონში. მისი მიმდევრები დღემდე დრუზების სახელით არიან ცნობილნი.

უცნაური საშინაო პოლიტიკის მიუხედავად, ალ-ჰაქიმის ზეობის წლებში ეგვიპტის ძლიერება არ შერყეულა და ფატიმიანთა სახელმწიფოს არც ერთი თავისი სამფლობელო არ დაუკარგავს. ქრისტიანობის დევნის შეჩერების შემდეგ 1016-1021 წლებში ალ-ჰაქიმს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა გიორგი I-თან. საქართველოს მეფე ეგვიპტის ხალიფაში ეძიებდა სამხედრო მოკავშირეს ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად. გიორგი I მიზნად ისახავდა შეენარჩუნებინა დავით კურაპალატის სამფლობელო სამხრეთ საქართველოში, რაზეც პრეტენზიას ბიზანტია აცხადებდა. ეგვიპტესთან სამხედრო კავშირის შესაძლებლობით დარწმუნებული მეფე ქედს არ იხრიდა ბიზანტიის კეისრის წინაშე. პროფ. ვ. გაბაშვილის დასკვნით, საქართველო — ეგვიპტის მოლაპარაკებამ და შესაძლებელმა სამხედრო კავშირმა ამ ორ ქვეყანას შორის დროებით შეაჩერა ბიზანტიის ექსპანსია საქართველოში.

ბიზანტიის კეისარმა ბასილმა საქართველოს წინააღმდეგ ომი მხოლოდ 1021 წ. დაიწყო, მას შემდეგ, რაც უკვალოდ გაქრა ალ-ჰაქიმი და ეგვიპტიდან სამხედრო მუქარა მოისპო.

ალ-ჰაქიმის აღსასრული ისეთივე უცნაური იყო, როგორც მთელი მისი ცხოვრება. ხალიფას წესად ჰქონდა ღამღამობით კაიროში და ქალაქგარეთ სეირნობა მხლებლებთან ერთად. მისი ამგვარი სეირნობა არაერთი საინტერესო ამბავის თემადაც იქცა. გადმოგვცემენ, რომ ერთხელ ღამით, მას 10 შეიარაღებული თურქი შემოეყარა და ფული მოსთხოვეს. ალ-ჰაქიმი დათანხმდა, მხოლოდ ასეთი პირობა დაუდო: შუაზე გაიყავით, ერთმანეთს შეებრძოლეთ და ვინც გაიმარჯვებს, იმისი იყოსო ჩემი სიმდიდრე. ისინიც ასე მოიქცნენ და სიკვდილს მხოლოდ ერთი გადაურჩა. ალ-ჰაქიმმა მას ფული მიწაზე გადაუყარა და როცა თურქი ასაკრეფად დაიხარა, ხალიფას მხლებლებმა ხმლებით აკუწეს ის. მაგრამ ერთხელაც, 1021 წ. 13 თებერვალს ალ-ჰაქიმი თავისი მორიგი გასეირნებიდან აღარ დაბრუნდა. მისმა ორმა მხლებელმა განაცხადა: ხალიფა ერთგან დაგვშორდა და ვეღარა ვნახეთო. 5 დღის შემდეგ კარისკაცებმა დაიწყეს მისი ძებნა. უდაბნოში წააწყდნენ ხალიფას ჯორის ლეშს, მის ტანსაცმელს, მაგრამ თვით ალ-ჰაქიმი არსადა ჩანდა. ის უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

მას შემდეგ 9 საუკუნემ განვლო... ალ-ჰაქიმის შესახებ ბევრი დაიწერა არაბების და არაარაბების მიერ. მისი მოღვაწეობა მხატვრულ ნაწარმოებებშიც, მათ შორის კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაშიც" აისახა. ალ-ჰაქიმის საოცრებები ეგვიპტის მოსახლეობამ თანდათან დავიწყებას მისცა, მაგრამ სირიის მისტიკურად განწყობილი დრუზები დღემდე მტკიცედ არიან დარწმუნებულები, რომ „ალ-ჰაქიმ ბი ამრ ალლაჰ ხელახლა მოევლინება ამ ქვეყანას".

გოჩა ჯაფარიძე.

# XX ოლიმპიადის ქვეყანაში

სპორტული კლუბი „დროშა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოებით ათიოდე წელია ტრადიციად დამკვიდრდა დიდი საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრებების გამართვა. ამ ტურნირებს ერთი მკვეთრად განმასხვავებელი თავისებურება ახასიათებს: ისინი წინ უძღვიან მორიგ ოლიმპიურ თამაშებს, ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის ოლიმპიურ ბაზებზე ეწყობიან და დედამიწის საუკეთესო სპორტსმენთა მომავალი თავყრილობის გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენენ. მათ საკუთარი სახელიც კი დაიმკვიდრეს: წინაოლიმპიური კვირეული. ამ კვირეულებში ძალთა შემოწმებას გადიან არა მარტო მოასპარეზენი, არამედ ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებიც. თავისთავად ცხადია, რომ წინაოლიმპიურმა კვირეულებმა ძალიან დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს და, როგორც წესი, დედამიწის ყველა კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენებისა და სპორტული ორგანიზაციების ყურადღებას იპყრობენ.

როგორც ცნობილია, მომავალი, XX ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გახლავთ. ამიტომაც იყო, რომ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სიამოვნებით დაუჭირა მხარი ამ ქვეყნის კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წინადადებას ევროპის მორიგი ჩემპიონატის მიუნხენში — XX ოლიმპიადის დედაქალაქში გამართვის თაობაზე. ეს უნდა ყოფილიყო პირველი შემთხვევა, როცა წინაოლიმპიური კვირეულის დღეებში ასეთი მაღალი რანგის ოფიციალური ტურნირი გაიმართებოდა. აი, ამგვარი იმედებით მოელოდნენ სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები, ჟურნალისტები და კალათბურთის მოყვარულები ამ ასპარეზობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა: მიუნხენის სარბიელი, რომელიც კალათბურთელთათვის იყო გათვალისწინებული, დროულად ვერ აშენდა. ამრიგად, მიუნხენზე ფიქრი ზღაპარი იყო. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია იძულებული გახდა დათანხმებულიყო გერმანელთა მიერ წამოყენებულ „სათადარიგო ვარიანტზე". ასე გაჩნდა საკალათბურთო რუკაზე „ესენი". და, მიუხედავად იმისა, რომ რურის ოლქის ცენტრალური ქალაქი ესენი საკმაოდ შორსაა მიუნხენიდან, ჩვენს მგზავრობას არ დაუკარგავს „ოლიმპიური ინტერესი", ვინაიდან, ასეა თუ ისე, მაინც მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი სახელმწიფოსკენ გვეჭირა გეზი. კალათბურთელებს კი ოლიმპიური ბურთების, ფარებისა და ლონჟინის ფირმის სადემონსტრაციო ტაბლოს პრაქტიკული შემოწმება ელოდათ. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს მათთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო, მით უმეტეს, რომ ასეთი საინტერესო თამაშები ფაქტიურად ცარიელი ტრიბუნების წინ მიმდინარეობდა (ასეთივე ამბავი იყო წინასწარი ტურნირის მეორე მასპინძელ ქალაქში, ესენიდან დიდად დაშორებულ ბიობლინგენში). როგორ არ გაიხსენოს კაცმა თბილისის სპორტის სასახლის პირთამდე სავსე ტრიბუნები საკავშირო ჩემპიონატის ყოველი მორიგი მატჩის დროს! სპორტსმენებს, ისევე როგორც მსახიობებს, ძალიან სჭირდებათ მაყურებელი, მისი განცდები, მისი მხურვალე დამოკიდებულება სარბიელზე მომხდარი ამბებისადმი, მისი გამხნევება, მხარდაჭერა... ამიტომ თქვენ იოლად წარმოიდგენთ, რამდენად გაფერმკრთალდა ევროპის კალათბურთელთა ჩემპიონატი.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩემპიონატი ევროპის სპორტული ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეიძლება მოასპარეზე გუნდებსა და ცალკეულ მოთამაშეებზე, მით უმეტეს, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა ჭეშმარიტად ისახელეს თავი ესენის სარბიელზე (თუ მიხეილ ქორქიამ თავის სპორტულ ცხოვრებაში პირველად დაიმსახურა კონტინენტის ჩემპიონის წოდება, ზურაბ საკანდელიძე პირველი ქართველი კალათბურთელია, ვინც მეოთხედ დაეპატრონა „ევროპულ ოქროს")...

ჩვენი დღევანდელი საუბრის თემას არ შეადგენს განვლილი ორთაბრძოლების გახსენება და მათი შეფასება. მას შემდეგ საკმარისი დრო გავიდა და, რაც მთავარია, ყოველივე ეს ტელეეკრანებზე იხილეს კალათბურთის მოყვარულებმა. ჩვენ გვსურს გაგიზიაროთ მომავალი ოლიმპიადის სამშობლოში სტუმრობისას მიღებული შთაბეჭდილებები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი რამ, რაზეც ლაპარაკი გვექნება, ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია. ამ სამუშაოთა მასშტაბები რომ წარმოვადგინოთ, რამდენიმე ციფრს მოვიტანთ: მიუნხენის უმთავრესი სპორტული ნაგებობების მხოლოდ შიდამოსაპირკეთებელი სამუშაოები 4,6 მილიონ სამუშაო საათს საჭიროებენ; სტადიონის, სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის ჭერი, რომელიც პლასტიკური მასალისგან კეთდება და კარავივით გადაეხურება ამ ბაზებს, 75 ათასი კვადრატული მეტრია; უნდა დამზადდეს, დაიბეჭდოს, განაწილდეს და გაიყიდოს 4.845.860 ბილეთი.

ციფრების ჩამოთვლა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით დაგვაინტერესა ოლიმპიური თამაშების მომსახურე ჟურნალისტების საქმიანობის პირობებმა. XX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ამთავითვე განსაზღვრა, რომ ოლიმპიადის პრეს-ცენტრში აკრედიტებული იქნება 4 ათასი ჟურნალისტი: ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა 1900 კორესპონდენტი და ფოტორეპორტიორი, რადიოსა და ტელევიზიის 1200 მუშაკი, საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების 500 წარმომადგენელი, კინოქრონიკისა და ფოტოსააგენტოების 400 თანამშრომელი.

ჟურნალისტები, რომლებიც 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ამსახველ რეპორტაჟებს გადასცემენ მილიარდ მკითხველს, რადიომსმენელსა და ტელემაყურებელს, მიუნხენში მათთვის განკუთვნილ, განსაკუთრებულ უბანში იცხოვრებენ. ეს „ქალაქი" ოლიმპიური პარკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს და შედგება 14 კვარტალისა (46 სახლი, 3800 ოთახი) და 2 ცათამბჯენისგან (420 ბინა). ამ ქალაქის საერთო ფართობი 84.200 კვადრატული მეტრია.

ყოველივე ეს, ასე ვთქვათ, პერსპექტივაა და დღესდღეობით ვერავინ იტყვის, რამდენად შეისხამს ხორცს... ჩვენ კი მოწმენი გავხდით მომავალი ოლიმპიადის მიწაზე მოწყობილი ერთ-ერთი პრეს-ცენტრის მუშაობისა. ეს, როგორც ალბათ მიხვდით, ესენის ევროპული ჩემპიონატის პრეს-ცენტრი გახლდათ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან ჩვენზე (და არა მარტო ჩვენზე, საბჭოთა ჟურნალისტებზე) ერთობ ულიმღამო შთაბეჭდილება მოახდინა. და თუ მიუნხენის ოლიმპიადის პრეს-ცენტრის მოწყობასაც ამ დონეზე აპირებენ, ზემოთ მოყვანილი ციფრები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და ვაი, ჟურნალისტებს...

ჩვენთვის საკმაოდ ბევრი დიდი საერთაშორისო ასპარეზობის — ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრეს-ცენტრებს გაუწევიათ სამსახური. ყველგან ყოველივე მთლად უნაკლოდ როდი იყო. მაგრამ ყველა ისინი თავიანთ მთავარ ამოცანას — ინფორმაციის ოპერატიულად და ამომწურავად მოწოდებას საუცხოოდ ასრულებდნენ. ამჯერად კი, ესენში, პრეს-ცენტრის მუშაობას მეტისმეტად ბევრი ხარვეზი ჰქონდა.

საერთოდ, ჩემპიონატის ორგანიზატორებს ბევრი რამ გამორჩათ და არ გაგვკვირვებია, რომ იუგოსლავიისა და იტალიის სპორტული დელეგაციები პროტესტის ნიშნად დასკვნით, გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე (სადაც სპეციალური პრიზები დარიგდა) არ წასულან.

...XX ოლიმპიურ თამაშებამდე წელიწადიც აღარ დარჩა. დასავლეთ გერმანიაში უკვე დიდი ხანია იგრძნობა მისი მოახლოება. ყველაზე სწრაფად, პრეს-ცენტრს რომ შეშურდება ისეთი ოპერატიულობით, ეს გარემოება მაღაზიებისა და რესტორნების პატრონებმა გამოიყენეს — ამ დაწესებულებათა ვიტრინებში, მათს საქონელზე ყველაზე ხშირად შეხვდებით ოლიმპიადების ნაირფერ ხუთრგოლიან ემბლემებს...

ყველაფერი, რაზეც ვილაპარაკეთ, ოლიმპიადის გარშემო ტრიალებს. ოლიმპიურ თამაშებში მთავარი კი, რასაკვირველია, სპორტსმენთა გამოსვლებია, მათი სწრაფვა გამარჯვებებისა და რეკორდებისკენ. და გვინდა ვირწმუნოთ, რომ მომავალი დიდი პაექრობაც მაღალ დონეზე ჩაივლის და სპორტული სამყაროს ცის კაბადონზე ახალ ვარსკვლავებს გამოაჩენს.

გ. აკოფოვი,
მ. კაკაბაძე.
ესენი — თბილისი



ქ. ესენი. სპორტის სასახლე.

იუგოსლაველი სპორტსმენები ქ. ესენში.



ანგი არსენაშვილი

# ერთი განძის საიდუმლო

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ვიწროა და მიხვეულ-მოხვეული.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, თორემ შეიძლება მანქანა სულ ადვილად გადაეშვას კლდეში.

გამუდმებულმა წვიმამ ერთიანად ჩამორეცხა ფერდობები და ისედაც რიყედქცეული გადასასვლელები ქვა-ღორღით ამოავსო. საგზაოს ბიჭებმა გამაფრთხილებელი ბოძები დადგეს, სიჩქარის შეზღუდვას რომ ეძახიან; შოფრებს ელიმებათ ამაზე — მქუათმყოფელ კაცს სხვისი გაფრთხილება რად უნდა ამ მონგრეულ გზაზეო. ჭირითისათვის ისედაც ბევრია ადგილები. აქ კი ერთი ნაბიჯიც რომ წაგიცდეს, სიკვდილი ყურის ძირთანაა ჩასაფრებული, ხუთტონიანი „ზილი“ ბოლოს მოიქნევს და მერე, მამაზეციერს ოცდათექვსმეტი სანთელიც აღარ ეყოფა, სული რომ შეგინარჩუნოს.

უგზოობას თუ უამინდობაც დაერთო, ყველაზე თამამი შოფერიც ვერ გაბედავს მოსახვევში ფეხი არ აითრიოს. დატბორილ გადასასვლელებთან სულ ადვილად შეიძლება კაცი ხიფათს გადაეყაროს.

ახლაც გამუდმებით წვიმს.

ცამ დილიდანვე შეიკრა პირი. ზენა ქარმა დიდხანს იბორგა შავად ჩამოწოლილ ღრუბლებს შორის, მაგრამ განაკაწრიც ვერსად გააჩინა. მერე თითქოს მოტყდა და ისევ ხეობაში მიყუჩდა.

ერთხანს გამოდარებას აპირებდა, მაგრამ ძლიერმა ქუხილმა კვლავ შესძრა მიდამო და თითქოს ამ ხმას უცდიდაო, მიწაზე სქელი, მძიმე წვეთები დაეცნენ. მერე ეს წვეთები უხილავი ძაფით აესხნენ ერთმანეთზე და ჰაერი წვიმით გაივსო.

წვიმდა დილით, წვიმდა შუადღისას, საღამოთი, შებინდებისას და არ გადაუღია მაშინაც, როცა სიბნელემ ყველაფერი გაავსო. სოფელიც დიდიხანია მიჩუმდა. ბურუსით ჩამოწოლილ ორღობეებში ვეღარ ატანენ პატარა ნათურები. დიდმა სატვირთო ავტომანქანამ ისე გაიარა გომბორი, რომ გადაბმულ სიმონას (ასე ეძახოდნენ ყველანი) სულიერი არაფერი შეხვედრია.

სინათლის ფარები ვერ ერეოდნენ ქარიშხალგარეულ წვიმას, დასველებული მუხრუჭი საიმედო აღარ იყო და სიმონას უჭირდა სიჩქარის მომატება. არადა, თბილისიდან ისედაც შეგვიანებულს, ეჩქარებოდა თელავში ჩასვლა.

შოფერი მთელი ძალით ჩაფრენია საჭეს და ნერვიულად ქაჩავს უკვე ტუჩებზე მიმწვარ პაპიროსს.

— ფუი, რა ამინდია! — იგინება სიმონა თავისთვის და ცდილობს გამოიცნოს თელავშიც წვიმს თუ არა, მაგრამ ხილვადობა ისე ცუდია, რომ გაძლიერებული სინათლეების სხივი ხუთ ნაბიჯზეც ძლივს ატანს.

წყაროს გასცდა თუ არა, სოფლის დასასრულთან, ერთიანად გალუმპული კაცი შენიშნა. კაცს ხელი აეწია და წაყვანას ითხოვდა. უცნობს გადმობრუნებული ტომარა ჩამოეცვა თავზე, მაგრამ ალბათ თავს იტყუებდა, მშრალი აღარაფერი ჰქონდა.

„იქნებ თელავშიც მოდის, წავიყვან, მადლი იქნება. ეგეც არ იყოს, ხმას მაინც გამცემს გზაში“ — გაიფიქრა სიმონამ და მუხრუჭს მთელი ძალით დააწვა.

— შემოდი კაცო, რაღას უყურებ, ხომ ხედავ მეორედ მოსვლაა!

უცნობი კი დგას კარგამოღებულ კაბინასთან და ხელების ქნევით რაღაცას ითხოვს. წვიმაში ძნელია სიტყვების გარჩევა.

— რაო, ოავპატიუს იდებ? შენი არაფერი არ მინდა, ძმაო, ამოდი, უფასოდ წაგიყვან, ამ თავსხმა წვიმაში გარეთ ხომ არ დაგტოვებ.

უცნობმა ხელი ჩაიქნია, ტალახით მოსვრილი ჩექმა კაბინის საფეხურზე შედგა და გაზუნზლული სხეული შიგნით შეიტანა.

— არ მინდოდა ამოსვლა, მაგრამ ვერაფერი გაგაგებინე და... — დაგუდული ხმა აქვს უცნობს.

— რა გაგჭირვებია ამ შუაღამისას, — დაეჭვება თუ შიში შეეპარა გულში სიმონას.

— ისეთი არაფერი, მაგრამ ხომ იცი ღვინომ რა იცის, — ღიმილი გაურია უცნობმა, — ზომაზე მეტი დავლიეთ და ერთი ძმაკაცი ძალიან დაგვეთრო. აიჩემა, გინდა თუ არა ამაღამ სახლში უნდა წავიდეო და გზაზე გამოვიდა. თეთრწყლებიდან არის. რაც გინდა გვთხოვე და ის კაცი უნდა წაიყვანო. სკოლასთან, მაღაზიის წინ ჩამოსვი, მერე თვითონ გაიგნებს გზას.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მთვრალებმა ახირება იციან, შარს არ გადამკიდოთ!

— რის შარი, კაცო, რომ ეხვეწო კიდეც, თეთრწყლებამდე ხმას არ გაგცემს. ისე სძინავს, თუ მიუშვი, შეიძლება ხვალაც არ ადგეს.

— მაშ რაღას აწვალებთ, იწვეს და ეძინოს, ვიდრე გამოფხიზლდება.

— იცოცხლე, ჩვენც გვერჩივნა, მაგრამ ოჯახიდან გამოსულებს უკან მიბრუნება და მასპინძლის შეწუხება აღარ გვინდა. შეიძლება აღარც ღვიძავთ, ჩვენ კი სულ სხვა მხარეს მივდივართ. მძინარე კაცი როგორ ვათრიოთ. ასეთი უბედური ამინდი მაინც არ იყოს. არ მოგერიდოს, ფული რამდენიც გინდა აიღე.

— ფულზე არ არის საქმე, ამ მთვრალსა და დაძინებულ კაცს როგორ გავაგებინო, თეთრწყლებში, შენი ბინა მიმასწავლე-მეთქი.

— ეგ არ გინდა, მაღაზიასთან ჩამოსვი და წადი. ყარაული იცნობს, ის მიხედავს.

— მოიყვა, მოიყვა თორემ ისედაც დაგვიანებული ვარ, აქამდე გორას ვიქნებოდი გაცილებული. — უცბად მოლბა შოფერი

უცნობი სწრაფად გადახტა და გზის პირას განმარტოებით მდგარი სახლის ნანგრევს მიეფარა.

სიმონას ყურადღებაც არ მიუქცევია როგორ მოიყვანეს მთვრალი კაცი კაბინამდე. მხოლოდ ის დაამახსოვრდა: ხელით დასვეს მის გვერდით, უფრო სწორად, კი არ დასვეს, დააწვინეს. მერე იმ მოგუდულხმიანმა წამოსვა. საწვიმარი მჭიდროდ შემოახვია ტანზე, თავი შოფრის საზურგის კუთხეში მიუდო და ჯიბიდან ათმანეთიანი ამოიღო.

— როგორც შევთანხმდით, მაღაზიასთან ჩამოსვი, იქ უკვე აღარ დაიკარგება, თავისიანები მიხედავენ. თუ ძმა ხარ, ნუ გააღვიძებ, ასე იწვეს. ორ ჭიქას დალევს თუ არა, ეგრე ძილად მიეგდება ხოლმე.

ფულმა გუნება წაუხდინა სიმონას.

— მათხოვარი ხომ არ გგონივართ, მთვრალი არ ვყოფილვარ თუ როგორ ფიქრობთ, ამ კაცის წაყვანაში ფულს ავიღებ?!

— რა ვიცი, ძმაო, — ხელები გაშალა უცნობმა, — ვერაფერი გამიგია. ისეთ დროში ვცხოვრობთ, ზოგჯერ ფულის მიცემაა ხათაბალა, ზოგჯერ არ მიცემა.

— ეხ, ასე რომ მცოდნოდა, მანქანასაც არ გაგიჩერებდით.

— მაშინ ჩემზე იყოს. გზა დამილოცია და ბედნიერი კაცი იყავი. სანთელ-საკმელი არ დაიკარგება.

სიმონამ არაფერი უპასუხა. სიჩქარე ჩართო და სწრაფად დაძრა მანქანა. უცნობის ბოლო სიტყვები კი რატომღაც არაბუნებრივად მოეჩვენა. მეორე ახმახს კრინტი არ დაუძრავს და ამანაც შეაფიქრიანა, თანაც სახეზე ზაფრანის ფერი ედო, თრთოდა. საეჭვოდ გადახედა კაბინაში მყოფს, მაგრამ მას მართლაც ბანგმოდებულივით ეძინა.

„ეს უფრო საშინელი ყოფილა, როცა გვერდით ადამიანი გყავს და ხმა ვერ ამოგილია, — ფიქრობდა გუნებაწამხდარი სიმონა,—რად გავაჩერე, ნეტავ ვინ მაძალებდა. ახლა რომ ამ კაცმა გამოიღვიძოს და თავში დამარტყას, ვინა ხარ, სად მიგყევართო, რა უნდა ვუთხრა. არა, უცნაური ამბავი კია, თეთრწყლებში მაღაზიასთან ჩამოსვიო. იქაც რომ ვერ გავაღვიძო, თელავში ხომ არ წავიყვან?! — მერე თვითონვე გაეღიმა — გარაჟში მეტიც არ უნდათ, ათასნაირად მონათლავენ შოფრები ამ ამბავს“.

სიმონამ პაპიროსს მოუკიდა, ბოლი ჩაისუნთქა და გვერდით მყოფს გადახედა.

— პაპიროსს ხომ არ ინებებთ, უფროსო?

ხმა არავის გაუცია.

წვიმა აღარ ხუმრობდა. თელავში კი არა, ალბათ მთელ კახეთში წვიმდა გადაუღებლად.

ვიდრე მანქანა აღმართებს აათავებდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დაღმართებზე კი შოფრის გვერდით მჯდომი თანამგზავრი ნელ-ნელა დაცურდა და კაბინის იატაკზე დავარდა. შოფერმა წყენით გადახედა ღვინისაგან გალეშილს, ხმამაღლა ჩაახველა, იქნებ რაიმეს მიხვდეს და გასწორდესო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მგზავრს ყურადღებაც არ მიუქცევია.

შოფერს გაეღიმა. კაცი საცოდავად მოკუნტულიყო კაბინაში და არც ცდილობდა ფეხზე ადგომას.

მანქანა გააჩერა და მგზავრს ხელი წაახმარა.

— აბა, აბა, ასე არ შეიძლება ძმობილო, კაცურად დაჯექ, სად მიძვრები?!

თანამგზავრი ახლაც არ შენძრეულა.

გულმა უცნაური კივილი გაება. თითქოს მსუსხავმა სიცივემ დაუარა ტანში და სადღაც გაჩერდა. გამოუცნობი შიშით დაწვდა კაბინაში დაგდებულ სხეულს და ღონიერი ხელებით ერთ წამში აიტაცა. სიჩქარეში საწვიმარი ძირს დავარდა და შოფერმა უცბად შეიგრძნო ადამიანის ცივი სხეული.

მერე სწრაფად ამუშავდა გონება, მაგრამ მაინც ვერ გაერკვა რა მოხდა.

შიში კი, შემზარავი შიში გულ-ღვიძლს უფატრავდა.

მანქანის კაბინაში ადამიანის გვამი იდო, სახეზე ტანჯვადამჩნეული ადამიანის გვამი.

ამ კაცს სიმონა პირველად ხედავდა.

ანგარიშმიუცემლად გამოაღო კარები და წვიმაში გადმოვიდა. დაუყვირება სცადა, მაგრამ ამაოდ. ეს აზრი სადაც დაიბადა, იქვე ჩაკვდა. ამ თავსხმა წვიმაში, შუაღამისას, გომბორის გადასასვლელზე აბა ვინ იქნებოდა ნუგეშის მიმცემი!

შუბლი ძლიერად მოისრისა, ფიქრები ელვის სისწრაფით სცვლიდნენ ერთიმეორეს.

„შეიძლება აი ასე, სულ ტყუილ-უბრალოდ დავიღუპო კაცი! არა, მაინც რა არის ყველაფერი ეს, ნუთუ სიზმარია? ვინ იყვნენ გზაზე გადაყრილი უცნობები, რატომ გამიმეტეს ასე, რატომ?!“

საცოდავად წრიალებდა, ღელავდა და ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო.

ერთხანს გვამის თავიდან მოშორება არჩია: „სადმე ხევში გადავაგდებ და პირზე კლიტეს დავიდებ. მერე იმან იმტვრიოს თავ-პირი, ვინც პირველი გადააწყდება“.

მაგრამ ეს აზრი მალევე უარყო, უფრო დიდი უბედურებისა შეეშინდა.

მერე უკან მიბრუნება იფიქრა. ბოროტმოქმედებს დავედევნები და მე თვითონ გავცემ პასუხს ჩემი გაუბედურებისათვისო.

მაგრამ აქაც უკან დაიხია.

მანქანაში ველარ ბედავდა შესვლას, რადგან მკვდართან შეხვედრისა წარმოუდგენლად ეშინოდა. მშველელს ეძებდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მაგრამ კუნაპეტ ღამეში მხოლოდ წვიმა ხმაურობდა რიტმულად და ზოგჯერ ელვა გაიკლაკნებოდა ხოლმე ცაზე.

უცნაური შიში თუ წინათგრძნობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სიმონამ ძალა მოიკრიფა და საკუთარ თავს შეედავა.

„როგორ დაიბენი, ბიჭო, რა გაშინებს?! დანაშაული არაფერი ჩაგიდენია, ცამდე მართალი ხარ, ხმას ვინ გაგცემს, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული. ადექი და სიმართლე თქვი, როგორც იყო, ყველაფერი ისე თქვი“.

შეჩერდა, კვლავ შეეპარა შიში გულში.

„არ დაგიჯერებენ? არ დაგიჯერებენ და კარგად იყვნენ, შენთან რა ხელი აქვთ! მილიცია ხომ იმისათვის არსებობს, რომ მტყუანი და მართალი გაარჩიოს!“

„ან რატომ აქამდე არ მომაფიქრდა?! აბა, პირდაპირ მილიციაში, სიმონ!“

სწრაფად შეხტა კაბინაში, მანქანა აამუშავა და ადგილიდან ერთბაშად მოწყდა.

ნაწვიმარი გზა და მოსახვევები ახლა ანგარიშში ჩასაგდები არ იყო.

უკან თითქოს სიკვდილი მოდიოდა ფეხდაფეხ.

(გაგრძელება იქნება)

არკადი ავერჩენკო

# შეხვედრა

ქუჩაში, სხვადასხვა მხრიდან, ორი ჯენტლმენი მოდიოდა. ერთმანეთს რომ დაუახლოვდნენ, ერთმა გაფანტული მზერა ესროლა მეორეს და გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელები გაშალა და გულმხიარულად წამოიძახა:

— ბატონო ტოპორკოვ! რა ხანია... დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით!

ტოპორკოვმა შეხედა ალტაცებულ ჯენტლმენს. ბებრული, ნაოჭებით დაფარული სახე საოცრად ნაცნობი მოეჩვენა. შეჩერდა და წამით ჩაფიქრდა. აი, თითქოს გაიხსენა კიდეც ამ კაცის სახელი, მასთან შეხვედრები, მაგრამ უცბად ყოველივე გაქრა და ჯენტლმენის გაღიმებული ფიზიონომია კვლავ გამოუცნობი დარჩა.

— გა-მარ-ჯობათ, — გაჭირვებით ამოღერღა ტოპორკოვმა.

— რად მოგიწყენიათ? ყური მიგდეთ, ტოპორკოვ, თქვენმა უკანასკნელმა სტატიამ განმაცვიფრა. რა სათაურით იყო? ჰო... „რეაქციის შედეგები"... თუ შეფასება და დაწვრილებითი განხილვა მომიხდა, ეს დიდ სიამოვნებას მომგვრის.

„ალბათ კრიტიკოსია", — გაიფიქრა ტოპორკოვმა და ხანშესული ჯენტლმენის შექებით თავმოქონილმა ჩვეულებრივზე მაგრად ჩამოართვა ხელი.

— მაშ, მოგეწონათ არა?

— გეთაყვა, განა შეიძლება არ მომწონებოდა. თქვენი ბევრი სხვა რამე წამიკითხავს. მე, ცოდვილს, მიყვარს ლიტერატურა, თუმცა თუ ჩემს საქმიანობას გავითვალისწინებთ, მაშინ ამ დარგისადმი, ასე ვთქვათ, მერკანტილური მიდგომა მმართებს.

„გამომცემელი ხომ არ არის? — გაიფიქრა ტოპორკოვმა, — ღმერთო ჩემო, სად მინახავს ეს კაცი!"

— ერთი მითხარით, როგორაა ბლუმენფელდი, რასა იქს მისი ჟურნალი?

— ბლუმენფელდი გამოვიდა საპყრობილიდან. იცით, რომ ორი წელი ჰქონდა მისჯილი?

— როგორ არა, როგორ არა! —ააკანტურა თავი ხნიერმა ჯენტლმენმა. სტატიისათვის „სისხლიანი ნაბიჯები". ნუთუ უკვე გამოვიდა? ღმერთო, რა სწრაფად გარბის დრო.

— თქვენ კარგად იცნობთ ბლუმენფელდს?

— როგორ გეკადრებათ? — გაეღიმა მოხუცს.—იგი შეიძლება ჩემს ნათლულად ჩაითვალოს, და საერთოდ მთელი მარქსისტული ახალგაზრდობა, ხალხოსნები, ნეოქრისტიანები და ნაწილობრივ მისტიკოსებიც ხომ ყველა ჩემს ხელშია გავლილი. სინიცკი, იაკოვლევი, გერშბაუმი, პინინი, რუკავიცინი... მართალი გითხრათ, რუკავიცინს არ ვეთანხმებოდი საგლეხო პროლეტარიატის საკითხის გადაწყვეტაში, სამაგიეროდ გერშბაუმმა მომხიბლა. ყოველ მის წერილს ვჭრი გაზეთებიდან და საგანგებო რვეულში ვაკრავ. მისი წიგნები კი ჩემი ბიბლიოთეკის საუკეთესო სამკაულია. შემოიარეთ ჩემთან, ფრიად გამახარებთ.

„ნუთუ ბიბლიოფილია? — ფიქრობდა დატანჯული ტოპორკოვი, — ეშმაკმა დალახვროს!"

— გაიგეთ, გერშბაუმის საკასაციო საჩივარი არ მიიღეს, — წამოიწყო მოხუცმა, — ძველებურად ექვსი თვე დაუტოვეს, წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

„ნუთუ ადვოკატია?" — გაიოცა ტოპორკოვმა.

— ახლა ადვოკატმა მოძებნა რაღაც საბაბი საკასაციოდ. რას იზამ. მართლა, წაიკითხეთ უკანასკნელი ალმანახი „გრიგალები". მასში ერთი ბრწყინვალე ნაწარმოებია დაბეჭდილი — „ეტაპები". მე და ჩემი ცოლი ვკითხულობდით და ვტიროდით. გული აგვიჩუყა კუდინოვმა.

— კუდინოვიც ნასამართლევია, გაიგებდით ალბათ. ასოცდამეცხრე სტატიით.

— დიახ, დიახ, მეორე პუნქტის მიხედვით. ისიც და რედაქტორი ლესოვეცკი ერთად. ლესოვეცკის შესაძლოა სხვა საქმესთან დაკავშირებით ექვსი წლის კატორღა მიუსაჯონ. ჰო, ძვირფასო ტოპორკოვ, ხომ ვერ მეტყვით სად და როგორ ვიშოვო კუდინოვის პორტრეტი, თუნდაც ღია ბარათზე იყოს...

— რაში გჭირდებათ? — გაუკვირდა ტოპორკოვს.

მოხუცმა სანდომიანად დაიმორცხვა და სახეზე ღიმილმა გადაჰკრა.

— მე ინსტიტუტის აღსაზრდელ ქალიშვილებსა ვგავარ... ჰე, ჰე, გავადიდებ და კაბინეტში დავკიდებ. შემოიარეთ, მთელ გალერეას ნახავთ: პინინი, კოვალევსკი, რუბინსონი... ასე ვთქვათ, დედა რუსეთის მთელი მწერლები. იხმეტიევიც ვიყიდე გამოფენაზე. ხომ გახსოვთ, კულჟინსკის ნახატი. მიყვარს იხმეტიევი. აი, ღვთის მადლით ცხებული პოეტი. მომწონს მისი „წითელი ალიონი".

— ალბათ გაიგებდით, რომ სწორედ მაგ „წითელი ალიონისათვის" იხმეტიევს შესაძლოა ორი წლის ციხე მიუსაჯონ, — თქვა ტოპორკოვმა.

— ვიცი, ვიცი, მშვენიერი ლექსია. უკანასკნელ ხანებში ასე ვეღარავინ წერს.

მოხუცი რომ ესიამოვნებინა და დაემშვიდებინა, ტოპორკოვმა თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— შეიძლება იხმეტიევი მაინც გამოძვრეს.

— ელოდეთ, — გაწიწმატდა მოხუცი, — გამოძვრება. გუშინ გამოუტანეს განაჩენი. არ წაგიკითხავთ? ერთი წლის ციხე. აფსუსია!

— ნუთუ მხოლოდ ერთი წელი, მე კი მეგონა, რომ კარგა ბლომად...

— მაგას არ ვამბობ, — გააქნია თავი მოხუცმა, — დასანანია. მე ორი წლის კატორღა მოვითხოვე. აიღეს და ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ადვოკატი შეხვდა თავისი საქმის კარგი ოსტატი.

— როგორ, თქვენ მოითხოვეთ? — იკითხა თავგზააბნეულმა, — ვის მოსთხოვეთ?

— სასამართლოს, გეთაყვა, სასამართლოს. ჯერ მოიცადეთ... აურაცხელი საბუთი მაქვს საკასაციო. შესაძლოა კიდევაც დაუტოვონ ორი წლის კატორღა.

— ვინა ხართ თქვენ, ბოლოსდაბოლოს?! — იყვირა გაცოფებულმა ტოპორკოვმა, რომლის ნერვები უკიდურესად დაძაბა ამ უაზრო საუბარმა.

— ღმერთო ჩემო, — გაიღიმა მოხუცმა, — ნუთუ ვერ მიცანით. პროკურორი ვარ, საოლქო სასამართლოს პროკურორი. თქვენ მე უნდა გახსოვდეთ, ბატონო ტოპორკოვ! მოიგონეთ ორი წლის წინ ერთ ლიტერატურულ საქმეზე რომ დაგდეთ ბრალი? მაშინ თქვენ ერთი წელი მიიღეთ.

— ახ, ეს თქვენ იყავით? — აღმოხდა ტოპორკოვს, — თუ არ ვცდები, სამი წლის კატორღას ითხოვდით და როცა ერთი წელი მომისაჯეს, თქვენ განაჩენის კასაცია მოახდინეთ.

— დიახ, დიახ, — გაუხარდა პროკურორს, — გაგახსენდით არა? იმ სტატიისათვის, რა ერქვა? „სისხლიანი სამსჯავრო". მშვენიერი ნაშრომია, მაგრამ დაწერილი. ახლა უკვე აღარ წერენ ასე... თავიდანვე კი ვერ მიცანით. რას იზამ, ხდება ხოლმე. ჰე, ჰე. აუცილებლად გამოიარეთ ჩემთან. მისამართს დაგიტოვებთ. თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, ლიტერატურაზე ვისაუბროთ... ჩემი პორტრეტების გალერეას გიჩვენებთ. ყველანი იქ არიან. გერშბაუმი, იხმეტიევი, კუდინოვი... თუ ბლუმენფელდი შეგხვდათ, წამოიყვანეთ თან. ჩვენ ხომ ძველი ნაცნობები ვართ.

პროკურორმა ამოიღო სადარბაზო ბარათი, ჩაუდო ხელში ტოპორკოვს და გაჰყვა გზას. მიდიოდა და მოჭუტული, კეთილი თვალებით აცქერდებოდა ტროტუარის ფილებს.

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ.

---

* არკადი ავერჩენკო — რევოლუციამდელი სატირიკოსი და იუმორისტი. ლიბერალური ჟურნალის „სატირიკონის" რედაქტორი.

---

ზაალ გახუციშვილი

## უფროსი და უმცროსი

უფროსმა სწრაფად მოიხმო
თანამშრომელი იროდა
და კაბინეტში ხმამაღლა,
გაბრაზებული ყვიროდა:
— ვერ ვაბოგინებთ ხელქვეითს —
შრომაში უდისციპლინოს,
რამდენიც უნდა გვევედროს,
რამდენიც უნდა იტიროს.
დღეის სწორს, თითქმის მთელი დღით,
სპორტსასახლეში წახვედი,
შენს უკან მჯდომი პარტკომი
და მე თვითონ ვარ მნახველი.
წინა დღეს ბაღში იყავი —
ცხრა საათიდან ოთხამდი,
რესტორანიდან გიცქერდით,
ხეებზე როგორ ფორთხავდი.
ჰოდა, თუ ყველა ეს ფაქტი,
შენც ამბობ, მართლაც სწორია,
მოხსნის ბრძანებას რომ გაძლევთ,
არ გვემდურები, მგონია.
— ჩვენს შორის ახლა რაც ხდება,
ფელეტონია — იგავი,
სპორტსასახლეში რომ მნახეთ,
მესამე ცვლაში ვიყავი.
ბაღში კი ხე-ბუჩქთ სასხლავად
გამგზავნა თვითონ პარტკომმა,
ასი ბუჩქი და ასი ხე
გავსხალ, გავწმინდე მარტომა.
გუშინწინიდან გახლავართ
შვებულებაში გასული
და რადგან სასადილოში
შემხვდა ბუღალტრის ასული,
მივიპატიჟე, დავლიეთ
კოკტეილი და ყავები;
დრო მქონდა, მიტომ ხანგრძლივად
ტკბილ საუბარში გავები.
თქვენ კი, გლახოვიჩ, არ მესმის,
როგორი საქმის კაცი ხართ:
სამუშაო დროს ყოველდღე
დროს სატარებლად დადიხართ,
და რადგან უკვე ბრძანება
შეგითხზავთ, დაგიწერიათ,
სჯობს, ჩემი გვარი წაშალოთ
და შიგ ჩასწეროთ თქვენია.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# მოზაიკა










## სამგლოვიარო დეპეშები

ლონდონის ფოსტის მოხელეთა გაფიცვის დროს კავშირგაბმულობის განყოფილებებში მოქალაქეებისაგან მხოლოდ სამგლოვიარო დეპეშებს იღებდნენ. ფოსტის თანამშრომლებმა შენიშნეს, რომ გაფიცვის დღეებში სამგლოვიარო დეპეშების რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. დეპეშების უმრავლესობის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: „ბიძია ვილიამი გარდაიცვალა. სასწრაფოდ ვყიდი სასტუმრო „იმპერიალს"; ანდა: „დეიდა ენი უკანასკნელ დღეშია. ვყიდი აგარაკს. მაცნობეთ, რამდენი შეგიძლიათ მომცეთ"; „ვიზიარებ თქვენს მწუხარებას ქ-ნი ელინორის გარდაცვალების გამო. სასწრაფოდ გამომიგზავნეთ დამატებით ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი".

როგორც გამოირკვა, ასეთი შინაარსის სამგლოვიარო-კომერციულ დეპეშებს თურმე უძრავი ქონების გამყიდველი შუამავლები გზავნიდნენ. მათ კარგად აუღეს ალღო შექმნილ ვითარებას და გაფიცვის პერიოდშიც კი მიწერ-მოწერით თავისუფლად აჭარბებდნენ თავიანთ კომერციულ საქმეებს.

## უმადური პაციენტი

პარიზელმა ექიმმა შარლ დენტონმა, რომელსაც საკუთარი ბინა არ ჰქონდა და მდგმურად ცხოვრობდა, ორი წლის გულმოდგინე მკურნალობის შემდეგ დიდი ხნის წინათ დაკარგული სმენა დაუბრუნა სახლის მეპატრონე ქალს.

უმადურმა და უგულო ქალმა თავის გამაბედნიერებელ მდგმურს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ ერთ მშვენიერ დღეს კატეგორიულად მოსთხოვა, ბინა უნდა დამიცალოო.

ექიმმა მიზეზი ჰკითხა. თურმე მანამდე ყრუ ქალს ახლა, როცა სმენა დაუბრუნდა, ექიმის ყოველი ფეხის გადადგმა ან კარის გაღება ჭექა- ქუხილივით ეჩვენებოდა.

## მსოფლიო რეკორდი... კვერცხის სროლაში

ახალგაზრდა კანადელმა დეივ ეპელნმა და მისმა პარტნიორმა ამას წინათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდი... კვერცხის სროლაში შორ მანძილზე.

დეივ ეპელნმა კვერცხი 48 მეტრის სიშორეზე ისროლა. მისმა პარტნიორმა თავგანწირული ნახტომი გააკეთა და ნასროლი კვერცხი ისე ოსტატურად დაიჭირა ხელში, რომ იგი არ გატყდა.

კვერცხის სროლის ადრინდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ინგლისში იქნა დამყარებული, კანადელმა „სპორტსმენებმა" 10 მეტრით გააუმჯობესეს.



## ვის ხელშია ატომური ბომბები

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრესა იუწყება, უკანასკნელ ხანებში ნარკოტიკების სისტემატური მიღებისათვის პოლიციამ დააპატიმრა: მფრინავი საავიაციო პოლკისა, რომელიც ექვემდებარება ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალების სტრატეგიულ ხელმძღვანელობას; „პოლარის" სისტემის რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის ოცი სამხედრო მეზღვაური; ფლორიდაში განლაგებული „ნაიკ-ჰერკულესის" ტიპის რაკეტებით შეიარაღებული ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზის ოცდათხუთმეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ყველა დაპატიმრებული ნარკომანი უშუალოდ ემსახურებოდა ატომის მუხტიან სარაკეტო დანადგარებს.

## ცრუპენტელათა კონკურსი

ცრუპენტელათა კონკურსზე, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამჯერად გაიმარჯვა და ქვეყნის ცრუპენტელათა ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა ვისკონსინის შტატის მღვდელმა გრეგორი ჰოუელმა.

აი რას მოუყვა იგი ჟიურის წევრებს: „ჩვენთან წელს დიდი წყალდიდობა იყო. მისისიპი ისე ადიდდა, რომ კუები, რომლებსაც ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე უნდოდათ გადასვლა, იძულებულნი გახდნენ, ბაკნებიდან გამომძვრალიყვნენ და თავიანთი ჯავშნები ნავებად გამოეყენებინათ".

ცრუპენტელათა კონკურსზე მეორე ადგილი დაიჭირა ფრანკ მერშანმა. მან განაცხადა: „ჩვენს სოფელში დრო ისე ზანტად გადის, რომ ერთ კალენდარს ორ წელს ვიყენებთო".

ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე: ყაზანლიყის ვარდი. ფოტო ი. დავითაშვილისა. მეოთხე გვერდზე: სვეტიცხოვლის ქონგურებზე. ფოტო ბ. დადვაძისა და ო. თურქიასი.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/X-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X-71 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 3603. უე 02176.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



მზეჭაბუკი　　　მოქანდაკე ჯ. მიქატაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76056